საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

№ 234 შაბათი, 18 მაისი 1918 წ. № 234

ხონის რაიონში ბოლშევიკებს იარაღი აყარეს—გუმბრის ევაკუაციის შემდეგ იქ მცხოვრებთა უმცირესობა დარჩა: მთელი ქონება ქალაქში დასტოვეს—ერევნის გუბერნიის მრავალი სოფელი განადგურებულია: მცხოვრებლები გაიქცნენ—სართასა და ხიზაბავრასთან მაჰმადიანები გარეკეს: დაჭრილია 50 მაჰმადიანი—საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ბათომს გაემგზავრა

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მანეთ., 20×2 ღირს 15 მან., 3 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ყ. თავადაზნაურთაქუთაისელი „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., ხარაჯიშვილის ს. № 8.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

შაბათს 18 მაისს (ახალი სტილით) დილის 10 საათზე მიხეილის საავადმყოფოს ეკლესიაში (მისავალი დიდი მთავრის ქუჩიდან). გადახდილი იქნება წლის წირვა

ივლიტა დავით ბარნაბიშვილის ასულ

ბასილიას

სულის მოსახსენებლად, რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედ-მამა დეკანოზი დავით და ქეთევან ბარნაბიშვილები, დები ნინო და ალექსანდრე ნეიმანები შვილებით, ზინა რაზუმოვსკისა შვილით და ევდოკია ბარნაბიშვილი და ძმები მიხეილი და ვლადიმერ ბარნაბიშვილები. წირვის შემდეგ პანაშვიდი გადახდილ იქნება კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე შუადღის 12 საათზე.

1167

ღრმად დამწუხრებულნი დედა—ნამეტი, ძმები—ისიდორე, ტიტიკო, ილია, მოსე, დათიკო და კარლო, დები—ალისა, ანეტა და თამარ, რძლები—მარო, ფუცუ და პაშა თალაკვაძენი და სიძე—დათიკო შარაშიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებთ რომ ტფილისში კუკიის წმიდა ნინოს ეკლესიაზე მაისის 19 დღით კვირას 12 საათზე დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგული კომერციული სასწავლებლის მოწაფის

მიშა სილევანის ძის თალაკვაძის

სულის მოსახსენებლად.

504

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—60.

დღეს, 18 მაისს გაიმართება

დიდი დღესასწაული

არტისტებისა. ბენეფისი მთელი დასისა. დღეს პირველად პანტომიმა „ტფილისის კინტო გზაში." ქალთა კვარტეტი იან გულესკოს ლოტზარობით. დებიუტი ცნობილი მექიანურესი პაგანინის. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი 8 ს. დასასრული 11 ს.

ანონსი: ხვალ კვირას გაიმართება 2 წარმოდგენა, დღით ბავშვებისთვის დაკლებულ ფასებში.

505

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა

დრ. საბჭო

კვირას 19 მაისს ქართული კლუბის დარბაზში დილის 10 საათზე იწვევს ყველა ტფილისის ქართველ ვაჭრებს და მრეწველთ საზოგადო კრებაზე.

დღის წესრიგი:

1. შეკავშირება ქართველ ვაჭართა და მრეწველთა ერთ კავშირში, რომლის წესდებაც დამტკიცებულია.
2. არჩევა კავშირის გამგეობისა და სხვა პირთა. კავშირის წევრად ჩაწერა შეიძლება იქვე საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთ წევრთან.

1158

ტფილისის ქალაქის გამგეობა

მოუწოდებს ყველას, ვინც სასტუმროებში სცხოვრობს, გადაიხადონ ფული სასტუმროებში მას შემდეგ, რაც შეადარებენ ანგარიშებში დაწერილ ფასებს იმ „პრეის-კურანტს", რომელიც ქალაქის გამგეობის მიერ არის დამტკიცებული.

1158

ტფილისის ქალაქის გამგეობა.

შალი

ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირში იყიდება დიდძალი **იმერული შალი** მეტად ხელმისაწვდომ ფასებში. შეძენა შეუძლიანთ როგორც ორგანიზაციებს, ისე კერძო პირთ. ვაჭრობა სწარმოებს სადაგ დღეებით დღის 9—3 ს.

მისამართი: მიხეილის პროსპ. № 178.

1168

კახეთის კავშირი

კოოპერატიულ დაწესებულებათა

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ რწმუნებულთა წლიური კრება დანიშნულია 20 მაისისთვის (ახალი სტილით) ქ. თელავში.

493

ტფილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა

დრ. საბჭო

ამით აცხადებს ქართველ ვაჭართა და მრეწველთა საყურადღებოდ, რომ დღიდან ამის გამოცხადებისა მათ, თანახმად ქართველ ვაჭართა და მრეწველთა 12 მაისის საზოგადო კრების დადგენილებისა, ეძლევათ ერთი კვირის ვადა იმ ფულის შემოსატანად, რომელიც მათზეა გაწერილი საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ.

ვინც ამ ვადის განმავლობაში არ შემოიტანს ფულს მათი სახელი და გვარი გაზეთებში იქნება გამოცხადებული, ხოლო ვიზედაც არც ეს ზომა იქონიებს გავლენას, მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული სასტიკი იძულებითი ზომები.

1155

ტფილისი. 18 მაისი 1918 წ.

ამიერკავკასია. ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივობა ქვიშაზე აშენებული გამოდგა, ამიერკავკასიის ყველა ერის საუბედუროდ. გეოგრაფიული მდგომარეობა ამიერკავკასიისა ისეთია, რომ ძალიან ადვილად შეიძლებოდა საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო შექმნილიყო, იმდენად ძლიერი მაინც, რომ თავისი დამოუკიდებლობა უზრუნველეყო. გარდა ამისა, რუსეთის სახელმწიფოებრივი საადმინისტრაციო მუშაობის წყალობით უკვე მომზადებული იყო ერთგვარი სახელმწიფოებრივი მექანიზმი, რომელსაც მხოლოდ განახლება დასჭირდებოდა, დროისა და გარემოების მიხედვით. ეს ნათლად ჰქონდათ წარმოდგენილი იმ პოლიტიკურ პარტიებსა და მოღვაწეებს, რომელნიც ასე თავ-გამოდებით იცავდნენ და დღესაც იცავენ ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნის იდეას.

მაგრამ, საუბედუროდ, ეს პოლიტიკურად სწორად გაგებული ინტერესი ამიერკავკასიის ერებისა ყველასთვის ერთნაირად ადვილად შესათვისებელი არ გახდა. სრული პოლიტიკური მოუმწიფებლობა გამოიჩინეს განსაკუთრებით ამიერკავკასიის მაჰმადიანობამ. მაჰმადიანობის პოლიტიკურმა ხელმძღვანელმა პარტიებმა პოლიტიკური შორს მჭვრეტელობა ვერ გამოიჩინეს და ალღო ვერ აუღეს იმ დიდს უპირატესობას, რომელსაც აძლევდა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა იმავ მაჰმადიანებს. ისინი აშკარად ოსმალეთისკენ გადაიხარნენ და შეჰქმნეს ისეთი მდგომარეობა, როდესაც ოსმალეთის მიერ სრულს ოკუპაციასაც კი მთელი აღმოსავლეთი ნაწილისა დიდი სიამოვნებით შეჰხვდებიან.

რა თქმა უნდა, ჩვენ ამ ჟამად პოლიტიკური მორალის თვალსაზრისით არ შეგვიძლიან შევაფასოთ ეს მოვლენა. ამიერკავკასიის მაჰმადიანობა როგორც სარწმუნოებით, ისე რასიულად ოსმალეთის მონათესავენი არიან და ამისთანა პირობებში მათ შეიძლება ჰქონდეთ სრულიად ბუნებრივი სიმპატია ოსმალეთისადმი. თუ ჩვენი ღვიძლი ძმები, სისხლით ქართველი აჭარლები უფრო მეტს სიმპატიასა ჰგრძნობდნენ ოსმალეთისადმი ვიდრე საქართველოსადმი, როგორ უნდა მოვსთხოვოთ ამიერკავკასიის მაჰმადიანებს უარყოფა ამ სიმპატიებისა, მაგრამ ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც ერთი მოდგმის ხალხიც კი იყრება რაიმე რეალური პოლიტიკური ინტერესებისთვის. ამერიკა ინგლისელებით იყო დასახლებული, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ამერიკას ომი გამოეცხადებინა ინგლისისთვის და ომი დაეგვირგვინებინა იმ სახელმწიფოს შექმნით, რომელსაც დღეს ვიცნობთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელით. იყო განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური ინტერესი, რომელსაც ალღო აუღეს ამერიკელებმა და კიდეც გადასდგეს გადამწყვეტი მნიშვნელობის ნაბიჯი. ჩვენ ვიცით, რომ ამერიკამ ამით ბევრი მოიგო და მოიგო საკაცობრიო კულტურამაც.

სწორედ ასევე შეიძლებოდა მოქცეულიყო ამიერკავკასიის მაჰმადიანობა. მაგრამ მათ შორის ევროპიულად მოაზროვნე და ევროპიულად განათლებული პოლიტიკური მოღვაწენი არ აღმოჩნდნენ. ისინი იმდენად დაბლა სდგანან პოლიტიკური შეგნებით, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივობის უპირატესობანი თვით ამიერკავკასიის მაჰმადიანებისთვის ვერ გაითვალისწინეს და სამუდამოდ ძირი გამოუთხარეს ამიერკავკასიის მთლიანობას. ეს დიდი უბედურებაა ამიერკავკასიის ყველა ერისთვის და უბედურებაა უფრო მეტად თვით ამიერკავკასიის მაჰმადიანობისთვის.

სარწმუნოებრივი მომენტი მაჰმადიანობაში უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე პოლიტიკური და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა ამიერკავკასიის ბედის გამორკვევაში. მაგრამ არის კიდევ ერთი მოსაზრება, რომელსაც, უეჭველია, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაჰმადიანთა ორიენტაციის შემუშავებაზე. ეს არის უდიდესი და უძლიერესი გავლენა მაღლა გაბატონებული კლასისა,—ბეგებისა და აღალარების,—რომლებიც ამიერკავკასიის დემოკრატიის სარევოლუციო მუშაობამ დააფრთხო, უფრო კი დააფრთხო აგრარულმა მოძრაობამ. როგორც ამიერკავკასია რუსეთს რუსულმა ანარქიამ ჩამოშორა, ისე ამიერკავკასიის დემოკრატიის მუშაობამ ყოველივე იდეოლოგიური კავშირი გააწყვეტინა მაჰმადიანების ხელმძღვანელ პარტიებს ამიერკავკასიის დემოკრატიასთან.

ასე თუ ისე, ამიერკავკასიის მთლიანობა დარღვეულია და დარღვეულია უპირველესად ყოვლისა იმიტომ, რომ ეს მთლიანობა ერთნაირად არა ჰქონდა შესისხლხორცებული ამიერკავკასიის ერებს. ამ გარემოებით ისარგებლა და შემდეგშიაც ისარგებლებს როგორც ოსმალეთი, ისე გერმანია. გაივლის ხანი და ყველასთვის ცხადი გახდება შედეგები იმ პოლიტიკური გაუგებრობისა, რომელსაც დღესა აქვს ადგილი ჩვენში, მაგრამ ამით სიმწვავე მდგომარეობისა არ იცვლება. ჰხდება სრული იზოლაცია საქართველოსი და ამ იზოლაციით ისარგებლებს ყველა, ვისაც ჰკუაში მოუვა ქართველი ხალხის ზურგზე მოლაყოს გადასვლა.

ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და მთლიანობა საუკეთესო გარანტია იყო ყველასთვის. ოსმალეთის მოთხოვნილებანი სულ სხვანაირი იქნებოდა, ამიერკავკასიის ერებს რომ შეეთვისებინათ იდეა სახელმწიფოებრივობისა; კილო მოლაპარაკებისაც სულ სხვანაირი იქნებოდა. მაგრამ ეს შეგნება ამიერკავკასიის მაჰმადიანებს არ აღმოაჩნდათ და ოსმალეთიც აუცილებლად ისარგებლებს შექმნილი მდგომარეობით თავის სასარგებლოდ.

ამიერ-კავკასიის მთავრობაში.

სეიმში შეტანილ იქმნება კანონ პროექტი ანარქიასთან ბრძოლის შესახებ, ამ მიზნისათვის შედგენილ იქმნება მფრინავი რაზმი ალაზნის იქითა რაიონში გასაგზავნად. გადაწყვეტილია ამ საქმისთვის გადაიდვას 127,525 მანეთი.

მთავრობას შეაქვს სეიმში პროექტი დროებით რკინის გზის ტარიფი გადიდებულ იქნას. ბილეთების ფასი 3 ჯერ მეტი იქნება, ბარგის გადატანა სამგზავრო მატარებლის სიჩქარით 3-ჯერ მეტი, ხოლოდ სამარგო მატარებლის სიჩქარით 2-ჯერ მეტი.

კახეთის გზაზე კი ტარიფი ნახევრად გადიდდება.

მიმოსვლის სამინისტრომ მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა საჩქაროდ დამტკიცებულ იქმნას ხარჯი სამინისტროს საჭიროებისათვის. თვით სამინისტროსათვის 40,475 მან. მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად 34,475 მ. სახლის დასაქირავებლად 3 ათასი მანეთი და 30 ათასი მანეთი სხვა და სხვა ხარჯებისათვის.

ოფიციალური დეპეშები

16 მარტი. 12 საათი.

ზღვის სანაპიროებით მშვიდობიანობა არ დარღვეულა.

გუმბრში ოსმალოები შემოდიან და მოითხოვენ, რომ მათ დაუყოვნებლივ გადაეცეს ციხის მთელი იარაღი, ყველა სარკინიგზო დაწესებულება და სადგურის ყველა მოძრავი ელემენტი. ჩვენი ნაწილები ჩრდილო-აღმოსავლეთით იხევენ.

ახალქალაქის ჩრდილო-დასავლეთით 13 მაისს მაჰმადიანებმა სართისა და ხიზაბავრის შეიარაღებულ მცხოვრებლებს შემოუტიეს. საღამოს მაჰმადიანები გარეკეს პოზიციებიდან, რომელიც მაღლობზე ჰქონდათ მოწყობილი და იმათ სოფ. ხერთვისაკენ დაედევნეს. მათ 50 კაცი დაუჭრეს.

სამხედრო მინისტრის ბრძანება

ტფილისი, 16 მაისი. „ანდონსანი" მე შევნიშნე, რომ ზოგიერთი სამხედრო პირი არღვევს საზოგადო სიწყნარეს, რაიც მოქალაქე-მეომარის ღირსების შემლახველია. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ვერ გრძნობენ თავისი მოქმედების პასუხისმგებლობას და აგრედვე დაუსჯელობის გამო; და ეს კი შეუწყნარებელია. ამიტომ ვბრძანებ ყველა უფროსს მიიღონ ენერგიული ზომები ამ მოვლენის აღმოსაფხვრელად. ოფიცრები და სამხედრო მოხელეები, რომელნიც ამ გვარ მოქმედებაში იქნებიან შემჩნეული, დათხოვნილი იქნებიან ჩემ მიერ სამსახურიდან, როგორც კი წარადგენენ მათ მათი უფროსები და მათ მოესპობათ ის სარგო, რომელიც დაწესებულია საზოგადოდ სამსახურიდან გადამდგართათვის. ყველა სამხედრო პირთ ჩადენილი დანაშაულობისათვის სარევოლუციო ტრიბუნალის სასამართლოში იქნებიან მიცემული.

დედანს ხელს მოაწერა: სამხედრო მინისტრმა **გიორგაძემ.**

ომის დეპეშები

ვენა. 15 მაისი. საომარი ცნობა; დაბა კორნის რაიონში ღამ-ღამობით სასტიკი ბრძოლა სწარმოებს: იტალიელები ერთ ჩვენს პოსტში შეიჭრნენ. ზღვაში, ნავთსადგურ პოლის მახლობლად ჩვენ დავღუპეთ იტალიელების [illegible] გემი.

პარიზი. 15 მაისი. საომარი ცნობა. ავრის ორსავე სანაპიროზე საარტილერიო ბრძოლაა. მტერი ეცადა ქვეანკურის სამხრეთ-აღმოსავლეთით ფრანგების თხრილებზე იერიში მიეტანა, მაგრამ ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

ბერლინი. 15 მაისი. საომარი ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კემმელის ჩრდილო-დასავლეთით ადგილობრივმა შეტევამ ნაყოფი გამოიღო: ჩვენ 120 კაცი დავატყვევეთ, ჩვენმა შეტევამ ფრანგებს დიდი ზიანი მიაყენა, მით უმეტეს რომ შეტევა ნაწილების გაცვლა-გამოცვლის დროს იყო წარმოებული. კემმელის რაიონში, საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. დღე და ღამით ამ რაიონში ქვეითი ჯარი იბრძოდა ფრანგების შეტევის რაზმებთან. ლისსა და ლაბასის არხს შუა და სკარპთან მტერი ცხოველმოქმედებას აწარმოებდა. ანკრსა და სომას შუა ჩვენ ინგლისელების პოზიციებში შევიჭერით. ბრე-კორბილეს გზაზე და ვილერ-ბრეტანთან ავრის დასავლეთ სანაპიროზე მტერმა იერიში მოიტანა კასტელთან ჩვენ ხაზებზე. მტერი გავრეკეთ: ის მეტად დაზიანდა ცალკე სექტორებში ორივე მხრით ზვერვაა.

ჩვენმა მფრინავებმა გუშინ 5 საჰაერო ბალონი ჩამოაგდეს. ჩვენ მრავალი ყუმბარა ჩამოვაგდეთ კალეზე, დიუნკირხენის საწყობებზე და აგრეთვე რკ. გზის საწყობებზე.

ლონდონი 16 მაისი. ინგლისის ოფიციალური ცნობა. მტერმა ჩვენს ფრონტზე იერიში მოიტანა მონლანსის სამხრეთ დასავლეთით და ერთ ადგილას ჩვენი პოზიცია დაიკავა. კონტრ-იერიშების საშუალებით მტერი გავრეკეთ დაკავებული პოზიციიდან. მტრის ახალი იერიში უნაყოფოდ დამთავრდა. საფრანგეთის ფრონტზე ჟამიანობის გამო, არავითარი მოქმედება არ ყოფილა.

რომი. (?) იტალიის ცნობა. მტრის იერიშებმა მონტე-კორნოზე უნაყოფოდ

ჩაიარა ჩვენ მტრის 11 ჰაეროპლანი ჩამოვაგდეთ.

სტამბოლი. 16 მაისი. სამხედრო ცნობა, (ოსმანიის რადიო—სადგურიდან, გერმანულად).

პალესტინის ფრონტი. ფრონტზე სუსტი საარტილერიო ბრძოლაა. იორდანის აღმოსავლეთ სანაპიროზე მტრის მზვერავთა რაზმების მოქმედებაა. მფრინავები ბრწყინვალედ ისვრიან ყუმბარებს ინგლისელების თხრილებში.

მესოპოტამიის ფრონტი. მტრის ჯავშნიან ავტომობილების შემოტევა ჩვენს აღმოსავლეთ პოზიციებზე ტიგროსის რაიონში მოვიგერიეთ არტილერიის საშუალებით. მფრინავმა ხ. უხტლიანმა ალიუნქეფეს მახლობლად მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდო და საჰაერო ბრძოლაში დაიმარჯვა.

კავკასიის ფრონტის შესახებ ცნობები არ მოსულა.

რადიო-დეპეშები

ტფილისი, 17 მაისი. „ანდონსანი"

ინგლისის რადიო-სადგურიდან.

რეიტერის სააგენტო იუწყება: ოფიციალური ცნობებით იმპერატორმა კარლომ ავსტრიის გენერალური შტაბის უფროსის თანხლებით მთავარ ბინაში კაიზერი ინახულა. იქ თათბირი იყო, რომელშიაც ჰინდენბურგმაც მიიღო მონაწილეობა; განიხილეს საკითხები, რომელიც გერმანიის და ავსტრიის კავშირის განმტკიცებას შეეხება.

გერმანული გაზეთები უკრაინის შესახებ. გერმანული გაზეთები სწერენ, რომ უკრაინაში მშვიდობიანობის აღსადგენად ძალიან დიდი ჯარის გაგზავნა სჭირდებათ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" ამბობს:

„მდგომარეობა უკრაინაში დღითიდღე აუტანელი ხდება გერმანიისათვის. პოლკოვნიკ რეპინგტონის აზრით აღმოსავლეთ ფრონტზე გერმანელების საქმეები არა საუკეთესოდ მიდის მას შემდეგ, რაც რუსეთთან ხელშეკრულება დადვეს. გერმანელები ჩათრეული აღმოჩნდნენ იმაზე რთულ ოპერაციებში, ვიდრე მოელოდნენ, ამიტომ შემდეგი დღე ვენება სერიოზულ საფრთხეს უმზადებს გერმანიას".

ოფიციალური დეპეშა მოსკოვიდან იუწყება, რომ ტამმერფორსის დაკავების შემდეგ თეთრი რაზმის მიერ დახვრეტეს 500 რუსი ოფიცერი და ჯარისკაცი, ჯგუფ ჯგუფად 40—50 კაცი, ტყვიის მფრქვეველების საშუალებით. ტამმერფორსის აღებამდი საშინელი სისხლის ღვრა მოხდა: დაჭრილ თეთრ რაზმელთა და გერმანელთა რიცხვი 4000-ს აღემატება.

ინგლისის საქმეები. ამ დღეებში ინგლისის პარლამენტში მონტაგიუ მოხსენებას წაიკითხავს ინდოეთში კონსტიტუციური წყობილების შემოღების შესახებ.

საფინანსო ბილლის განხილვის დროს ბონარ-ლოუმ სთქვა გასავლის ზრდა არავითარ საფრთხეს არ გვიმზადებსო. დიდმა სამხედრო სესხმა გასული წლის იანვარში 1000 მილიონი გირვანქა მოგვცა, ხოლო სხვა წყაროებმა 719 მილიონიო. სრული იმედი უნდა გვქონდეს იმისა, რომ მომავალში დიდ ფულს შევკრებთო.

პური შვეიცარიას. ამერიკელებმა დეპეშით აუწყეს შვეიცარიის საპოლიტიკო დეპარტამენტს, რომ ისინი თანახმა არიან მიაწოდონ მას შეერთებულ შტატებიდან საჭირო ხორბალი. ამან დამახასიათებელი შენიშვნა გამოიწვია ბერლინში გერმანიის საელჩოს მხრით: ეს შვეიცარიას ვერ უშველისო. ამის შესახებ „ჟენევის ჟურნალი" შენიშნავს, რომ გერმანიის საელჩოს მთავრობა ვერ შეცვლის შვეიცარიის და ვაშინგტონის მთავრობების ურთიერთობასო.

უკრაინა და გერმანია. მოსკოვის რადიო-სადგურიდან. გაზეთებში ცნობები იყო უკრაინაში არეულობა არისო. მაგ., გაზ. „ვეჩერნი ზვეზდა" იტყობინება კიევის და ჩერნიგოვის გუბერნიებში მოძრაობა ძლიერდებაო; გენ. სკოროპადსკიმ დამსჯელი ექსპედიციები გაგზავნა ამ რაიონებშიო. ჩერნიგოვის გუბ. მაზრებიდან იუწყებიან, რომ გლეხები არ უშვებენ სოფელში გერმანიისა და მთავრობის აგენტებს და ზოგიერთ ადგილას კიდეც მოჰკლეს ეს აგენტები. ამის გამო გეტმანის მთავრობის სასწრაფო სხდომა მოხდა, რომელზედაც გენ. სკოროპადსკიმ მოითხოვა უკიდურესი ზომების მიღება არეულობის ჩასაქრობად. მაგრამ სკოროპადსკის არ დაეთანხმნენ და აიძულეს ის უკან გამოეწვია დამსჯელი ექსპედიციები, მოწოდებით მიემართნა გლეხებისათვის დაეხსნა იმათთვის, რომ უკრაინის მთავრობა დაიცავს გლეხების ინტერესებს.

იმავე გაზეთის ცნობით გენ. სკოროპადსკის ბინაზე საიდუმლო სხდომა იყო მომავალ საზავო კონფერენციის შესახებ. გაზეთი გადმოგვცემს თითქოს სკოროპადსკის შემდეგი ეთქვას: „ის ამბები, რომელთაც ეხლა უკრაინაში აქვთ ადგილი და ის ძალა, რომელიც მე აქ მხარს მიჭერს, გვავალებს სულ სხვანაირად მოვეპყრათ საზავო კონფერენციას, ვიდრე ეს განზრახული ჰქონდა ძველ რადას. ჩვენ აუცილებლად უნდა დავანახვოთ სახალხო კომისარებს, რომ ჩვენ გამარჯვებულის ძალას წარმოვადგენთ". თათბირმა დაადგინა 25 მაისს გაიხსნას საზავო კონფერენცია და რუსეთის ფედ. რესპ. მთავრობამ ამ რიცხვისათვის გამოგზავნოს წარმომადგენლები უფრო ფართო უფლებებით აღჭურვილი. გერმანიის მთავრობამ წინადადება მისცა უკრაინის რაზმების უფროსებს შეაჩერონ სამხედრო მოქმედება. ამის გამო უკრ. რაზმის უფროსმა შეკითხვა გაგზავნა, რომელშიაც ის აღნიშნავს, რომ უკვე სამი დღეა, რაც ამ რაიონში ჰაიდამაკებსა და გერმანელებს შორის ბრძოლა სწარმოებს. ჩვენ გავიმარჯვეთ, მაგრამ ამ ჟამად ჰაიდამაკებს დამხმარე რაზმები მოეშველნენ. თუ სამხედრო მოქმედებას შევაჩერებთ, ჩვენ განადგურებული და დატყვევებული ვიქნებით". ამ შეკითხვაზე ერთმა მინისტრთაგანმა უპასუხა, რომ უკრაინის მთავრობას მხედველობაში ჰქონდა საბჭოთა ჯართან მოქმედების შეჩერება. რაც შეეხება სხვა ჯარებს მათთან ბრძოლა დიდის სიმწვავით უნდა სწარმოებდეს.

რუსეთის ქვეშევრდომების შესახებ

ტფილისი. 16 მაისი. „ანდონსანი". ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ამიერკავკასიის რესპუბლიკის მთავრობამ დაადგინა:

1. ბუნებრივად იცნოს რუსეთის ქვეშევრდომების გადაწყვეტილება—თხოვნა განთავისუფლებულ იქმნან თანამდებობიდან, რომელიც მათ უკავიათ ამიერკავკასიის ლაშქარში.

2. ამიერკავკასიის მთავრობის არავითარი საბუთი არა აქვს უარი უთხრას ამიერკავკასიის ლაშქარში და მის დაწესებულებებში ჩარიცხვაზე იმ საჭირო ქვეშევრდომებს რუსეთისას, რომელნიც ამას თავისი ნებით მოისურვებენ.

3. ამიერკავკასიის ლაშქარში მოსამსახურე ქვეშევრდომები რუსეთისა ვალდებული არ არიან ქვეშევრდომობა შეიცვალონ.

4. თუ რუსეთის ქვეშევრდომები ამიერკავკასიის ლაშქარში დარჩებიან და თავის ქვეშევრდომობას არ შეიცვლიან, ამ გვარ პირებზე ვრცელდება ყველა ის უფლება, რომელთაც ამიერკავკასიის ქვეშევრდომები სარგებლობენ სამსახურში ყოფნის დროს, იმ შეზღუდვით, რომელიც კონსტიტუციაში იქნება აღნიშნული.

5. გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ხელწერილი ჩამოერთვას ამიერკავკასიის ლაშქარში დარჩენის მსურველთ, რომ ისინი დაექვემდებარებიან ამიერკავკასიის რესპუბლიკის ყველა კანონს.

6. ვიდრე ამიერკავკასიის სეიმის სამხედრო კომისია განიხილავდეს, გადაუჭრელად დარჩეს საკითხი რუსეთის ლაშქრის დემობილიზაციის კანონების გავრცელებისა იმ სამხედრო პირებზე, რომელთაც რაპორტი შემოიტანეს სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

7. შეუწყნარებლად იქმნას აღიარებული უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომების დანიშვნა: ლაშქრის უფროსად, სამხედრო მინისტრად, მის ამხანაგებად, შტაბის უფროსად, გენერალ-კვარტირმეისტერად, კორპუსის უფროსად, მორიგ გენერლად, მასალების მიწოდების უფროსად.

8. მიენდოს სამხედრო მინისტრს განიხილოს საკითხი იმის შესახებ, თუ რა სახით იქმნას დანიშნული უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომები დაბალ თანამდებობაზე.

9. მიენდოს სამხედრო მინისტრის თავისი უფლებით დანიშნოს განთავისუფლებულ თანამდებობაზე, ხოლო იხელმძღვანელოს მთავრობის დადგენილებებით, რომელიც აღნიშნულია ამა წლის 10 მაისის ჟურნალის მე-2 პარაგრაფის ა, ბ, ვ, გ მუხლებში.

ახალი ამბავი

◆ **ნ. ჟორდანიას გამგზავრება ბათომში.** ხუთშაბათს საღამოს, საგანგებო მატარებლით ბათომში გაემგზავრა საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ნოე ჟორდანია.

◆ **ქ. გირუსაში,** ზანგეზურის მაზრაში. (განჯის გუბერნია) მცხოვრები ლადო ლოლუა გვთხოვს გამოვაცხადოთ, იქ ჩარჩენილი ქართველობა ჯერჯერობით კარგად არიან და გზის გახსნისათანავე აპირებენ სამშობლოში დაბრუნებას.

◆ **უპარტიოთა კრება.** კვირას 19 მაისს 12 საათზე ქართულ კლუბის შენობაში დანიშნულია პარტიათა გარეშე მყოფ ქართველთა საორგანიზაციო კრება. მონაწილეობის მიღება ყველას შეუძლია, ვინც არსებულ პარტიებში არ ირიცხება.

◆ **ქართველ მხატვართა საღამო.** დღეს, შაბათს 18 მაისს, ქართულ კლუბში ქართველ მხატვართა საზოგადოება გამართავს მხატვრულ საღამოს. საღამო შესდგება: კონცერტი ბ-ნ არაყიშვილის ნაწარმოებთაგან ავტორის ხელმძღვანელობით. სურათების გამოფენა. შარჟები. კონცერტის შემდეგ ვახშამი—კაბარე მხატვრულ ნომრებიდან პოლიტიკურ თემებზე. ცეკვა სცენაზე. ბილეთები კლუბის კასაში. საღამოს დასაწყისი 8 საათზე.

◆ **სროლა.** ღამის 11 საათზე, გოლოვინის პროსპექტზე, არამიანცის სახლის პირდაპირ მოგროვილი იყო პატარა ჯგუფი. მილიციელმა წინადადება მისცა შეკრებილთ დაშლილიყვნენ, მაშინ ჯგუფიდან გაისმა რევოლვერის სროლა, ამას მოჰყვა სროლა მილიციონერთა მხრიდან. მსხვერპლი არ არის.

◆ **ბოლშევიკების დამარცხება.** ქუთაისიდან ხ-ნის რაიონში 200 კაცისაგან შემდგარი მფრინავი რაზმი გაიგზავნა, რომელმაც იარაღი აჰყარა ყველა ბოლშევიკს, ჩამოართვა 300 ვინტოვკა, 1 ტყვიის-მფრქვეველი („ანდონსანი").

◆ **მეცხრე კომისარიატის** მოქალაქეთა კომიტეტის პრეზიდიუმი აცხადებს, რომ მეცხრე უბნის მოქალაქეთა საერთო კრება რომელიც დანიშნული იყო 19 მაისისათვის, გადიდო რადგან პრეზიდიუმმა ვერ მოასწრო კომიტეტის მოღვაწეობის ანგარიშის შედგენა. მომავალი კრების მოწვევის დრო იქნება გამოცხადებული.

◆ **მოსკოვში,** პეტროგრადში, სარატოვში ცარიც. და საზოგადოთ ჩრდილოეთ რუსეთში მყოფ ქართველთა მშობელთა და ნათესავთა საყურადღებოთ. ამ ჟამათ აქ იმყოფება მოსკოვის ქართველთა კოლონიის ძიკრიკი და ბრუნდება უკან მაისის 21. ფულებს წერილებს იქ ქართველთა გადასაცემათ და ვისაც გსურთ შემოიტანეთ ჩვენი გაზეთის რედაქციაში ორშაბათს 20 მაისს დილის ათ საათიდან 12 საათამდე.

◆ **ერევნის საგუბ. კომისარი** ტოროსიანცი დეპეშით იტყობინება, რომ გუბერნიის მრავალი სოფელი განადგურებულია, მცხოვრებლები გაიქცნენ, მათი მდგომარეობა კრიტიკულია.

◆ **ლტოლვილთა დახმარება** ქუთაისის გუბ. და ბათომის ოლქის ლტოლვილთა დამხმარე საგუბერნიო კომიტეტი ამიერკავკასიის მთავრობისაგან 9 მილიონ მანეთს ითხოვს ლტოლვილთა საჭიროებისათვის.

◆ **შრომის სამინისტროში** საგანგებო სხდომა გაიმართება ლტოლვილებისათვის საზოგადოებრივი სამუშაოს მოსაწყობად.

◆ **ალექსანდროპოლის ამბავი.** ქალაქის ევაკუაცია მოხდა 15 მაისს ღამით, იქ დარჩა მცხოვრებლების უმცირესობა. ხალხმა მთელი თავისი ქონება ქალაქში დასტოვა.

◆ **სამტრედიიდან** საოლქო ცენტრს დეპეშით აცნობებენ „სამტრედიის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ ზომები მიიღო წესრიგის დასამყარებლად და გადაწყვიტა: იარაღი ჩამოართვან ყველა შეიარაღებულ პირს, რომელნაც უწესოებას სჩადის, და ისეთ პირებს რომლებსაც იარაღის ტარების ნებართვა არა აქვთ.

◆ **ყაჩაღის მოკვლა.** ქუთაისში მოჰკლეს ცნობილი ყაჩაღი ძლევულაბეგი იასია აბზიანძე ილიაძე დაატუსაღეს.

◆ **სამუსიკო მოღვაწეთა,** დამკვრელთა და მომღერალთა ყრილობა დანიშნულია კვირას 19 მაისს დილის 10 საათიდან ქართულ კლუბის დარბაზში. უნდა მოეწყოს ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ხელოვნების სექციის სამუსიკო განყოფილება. ყრილობის დასასრულ გაიმართება ქართული მარსელიეზის 1 ეროვნული ჰიმნის რეპეტიცია. მოხსენებას წაიკითხავს და რეპეტიციას აწარმოებს კ. ფოცხვერაშვილი.

შეცდომის გასწორება

გუშინდელ ნომერში მოთავსებულ ფელეტონში „უნიტარული სახელმწიფო, კონფედერაცია და ფედერაცია" შემდეგი უმთავრესი შეცდომებია:

პირველი სვეტი, სტრ. 24 დაბეჭდილია—მისს თანამედროვე პოლიტიკურ პროვინციალურ და კომმუნალურ თავისუფლებათა დაუჭრობელსა და შეუწყვეტელს ტრადიციას; უნდა იყოს—მისს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვენ ვხედებით პროვინციალურ და კომმუნალურ თავისუფლებათა დაუჭრობელსა და შეუწყვეტელს ტრადიციას; სტრ. 48—ბელგიელ ქალაქის მერი მშვენებით გარს შემოხვეული; უნდა იყოს—ბელგიელ ქალაქის მერი ეშევენებით გარს შემოხვეული.

სვეტი მესამე, სტრ. 21 დაბეჭდილია—ილლინეისათვის ინგლისი .. წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს; უნდა იყოს—ჰიელლინეკისათვის ინგლისი.. წარმოადგენს უნიტარულ სახელმწიფოს.

მეოთხე სვეტი, სტრ. 35 დაბეჭდილია—აქ არიან მგალომანი და პარატიკულიარიზმი; უნდა იყოს—აქ არიან მეგალომანია და პარატიკულიარიზმი...

სვეტი მეხუთე, სტრ. 9. დაბეჭდილია — ბელგიიდან, საფრანგეთიდან, შვეიცარიიდან, გერმანიიდან და სკანდინავიიდან კი არა, ინგლისიდან მოველით ჩვენ ცხოვრების დიად კითხვების გადაწყვეტას, უნდა იყოს—ბელგიიდან კი არა საფრანგეთიდამ, შვეიცარიიდამ კი არა გერმანიიდამ, სკანდინავიიდამ კი არა ინგლისიდან მოველით ჩვენ ცხოვრების დიად კითხვების გადაწყვეტას.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კვირას, 19 მაისს, პარტიის კლუბში დანიშნულია მუშათა კავშირის გამგეობის კრება. განსახილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. დასაწყისი სალ. 5 საათზე.

—

შაბათს, 18 მაისს, პარტიის კლუბში დანიშნულია ტფილისის კომიტეტის კრება. დასაწყისი კრების სალ. 6 საათზე.

—

კვირას 19 მაისს (ახალი სტ.) დილის 10 საათზე პარტიის ბიუროში დანიშნულია ადგილობრივი რაზმელების საერთო კრება. ამხ ვსთხოვთ აუცილებლად დანიშნულ დროზედ გამოცხადდნენ.

უფროსი რაზმის **ს. ჩახუნაშვილი.**

—

ავლაბრის და ხარფუხის საუბნო კომიტეტების წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ პარტიულ კლუბში კვირას, 19 მაისს დილის 11 საათზე.

სასურველია კრებას დაესწრნენ იმ რაიონებში მცხოვრები სხვა ამხანაგებიც.

—

ორშაბათს 20 მაისს საღამოს 6 საათზე დანიშნულია ამიერკავკასიის და კახეთის რკინის გზის სოც. ფედერალ. მუშა-მოსამსახურეთა შეერთებული კრება სამართველოს დარბაზში.

ამხანაგებს ევალებათ აუცილებლივ გამოცხადდნენ დანიშნულ დროზედ. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. **ქრისტეფორე რაჭველიშვილი.**

საქარ. ეროვნული საბჭო

14 მაისი.

(დასასრული *)

შალვა მესხიშვილი. ეხლა ისეთი წუთია, რომ საქართველოს განსაკუთრებული მდგომარეობა აქვს ამიერკავკასიის ერთა შორის, ხოლო ქართველების გადაწყვეტილებას დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა, ვინაიდან ქართველები შემათანხმებელ პოზიციაზე ვსდგევართ და ვაერთებთ სომხებსა და თათრებს, რომელნიც ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმართულებით იყურებიან და მოქმედებენ ასეთ მდგომარეობის გამო ჩვენ გარდაწყვეტილებას ორივე მხარე უცდის. ჩვენ საერთოდ ჰეგემონიას ვართ დაჩვეულნი. ამიტომ ჩვენ უნდა დინჯად და მოფიქრებით გადავსწყვიტოთ ეს საკითხი.

ყოვლად შეუძლებელია, ავიღოთ სახელმწიფოებრივი უფლების რომელიმე სახელმძღვანელო, წაიკითხოთ იგი, გავეცნოთ სხვა და სხვა ფორმას პოლიტიკურ წყობილებისას და მერე ავირჩიოთ. არა, საჭიროა რეალურ პირობებს სათანადო ანგარიში გაუწიოთ უნდა ავირჩიოთ ისეთი ფორმა წესწყობილებისა, რომელიც მინიმუმ ძალის დახარჯვით მაქსიმუმ კეთილდღეობას მოუტანს.

რეალური პირობები კი ასეთია. ჩვენ რკალად გვარტყია მაჰმადიანური ელემენტი, რომელიც მაინც და მაინც ჩვენი დიდი მეგობარი არ არის. ეს ერთი მეორე პირობა კიდევ ისაა, რომ ამიერ კავკასიაში არ არსებობს კულტურული ეკონომიური და ეროვნული მთლიანობა. ვიტყვი უფრო მეტს. ეროვნებათა შორის ხშირია შეხლა-შემოხლა და არსებობს თვითეულ ერისთვის საკუთარი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც სხვა და სხვა მხრით მიიმართება. აღერბეიჯანი არ მალავს, რომ იგი ოსმალეთისკენ მიილტვის, ხოლო სომხეთი სასოების თვალით შესცქერის ინგლისს.

აი ამიტომ შეიძლება გამოვნახოთ ისეთი ძირითადი დებულებანი, რომელნიც ჩვენთვის ხელსაყრელნი არიან. ყოვლად შეუძლებელია ცენტრალისტური, უნიტარული წესწყობილება, რომელსაც ს. ჯაფარიძე თავის პროექტით გვიდგენს, სოც.-დემოკრატები ჯერ რუსეთისთვის ცენტრს ეტრფიალებოდენ, ეხლა ეს ცენტრი აქ გადმოიტანეს და სახელშეცვლილით დაარქვეს მას ფედერაცია, რომელთანაც მას არავითარი მსგავსება არა აქვს.

იქაც კი, სადაც სხვა და სხვა ერთა ეკონომიური და კულტურული დონე თანასწორია, იქაც კი ძნელია ცენტრის შექმნა, მით უმეტეს შეუძლებელია იგი აქ, სადაც ერთა შორის ეკონომიურ-კულტურული სხვადასხვაობა მეტად აშკარაა. ამიტომ ძალად შექმნა ცენტრისა არის დამღუპველი თვითეულ ერისთვის.

არის მეორე მიმართულება ჩვენში: ჩვენ, პატარა ერი, მოვექცეთ მუსულმანთა ზღვაში და ამიტომ შეუძლებელია ასეთ ყოფაში ჩავარდნილებმა ისეთი წესწყობილება დავამყაროთ, რომელიც ჩვენ დაგვაქვეითებს,

შეიძლება ჩვენ საერთო კონსტიტუცია ვერ შევიმუშავოთ, მაგრამ ჩვენი მოვალეობა, პოლიტიკური ხელმძღვანელის როლი გვავალებს ისეთი წესი შემოვიღოთ, რაც სამივე ერის დაწინაურებას და გაძლიერებას ხელს შეუწყობს.

შ. მესხიშვილის შემდეგ ლაპარაკობს **მიხ. მაჩაბელი,** (ნაც.-დემ.) **შალ. ქარუმიძე** (ნაც.-დემ), **გრ. ვეშაპიძე** (ნაც.-დემ.), **პ. საყვარელიძე,** რომელიც მეტად ცხარე კილოთი გამოეხმაურა უმთავრესად ვეშაპიძის სიტყვას და სხვანი.

რადგან დრო გვიანი იყო, შუაღამეზე გადასული, ამიტომ კამათი საქართველოს კონსტიტუციის შესახებ ამ დღისით შეწყდა და მისი გაგრძელება დანიშნეს 16 მაისისთვის.

16 მაისი.

კრებას თავმჯდომარეობს **გ. ლასხიშვილი.**

ამ დღის კრების საგანი არის გაგრძელება საქართველოს კონსტიტუციის შესახებ კამათისა და რაიმე დასკვნის, რეზოლიუციის სახით, გამოტანა. მაგრამ ეხლა სულ ახალი სიტუაცია შეიქმნა 14 მაისის შემდეგ, რაც უკანასკნელი კრება მოხდა ეროვნულ საბჭოსი, და ამიტომ აღმასრულებელ კომიტეტის სახელით თავმჯდომარე **გ. ლასხიშვილი** წინადადებას აძლევს რეზოლიუცია დროებით არ გამოიტანოს ეროვნულმა საბჭომ.

მაგრამ იბადება ახალი კითხვა—გაგრძელდეს თუ არა იმ დღისით მაინც კამათი საქართველოს კონსტიტუციის შესახებ. ამ კითხვის გადასაწყვეტად ფრაქციათა წარმომადგენლები ცალკე საბჭობლად გადიან, რის დროს საბჭოს სხდომა სწყდება. წარმომადგენლთა თათბირმა კარგა ხანს გასტანა.

კრების განახლებისას სოც.-დემოკრ. სახელით **დ. ონიაშვილი** წინადადებას იძლევა კამათი მოისპოს საქართველოს კონსტიტუციის შესახებ და აირჩეს კომისია შესამუშავებლად მომავალ კონსტიტუციის პროექტისა.

პ. ქავთარაძე (ალიონელი) უერთდება დ. ონიაშვილის წინადადებას.

რიგი განცხადებაზე სოც.-ფედერალისტთა ფრაქციაზე მიდგა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო მისი წარმომადგენელი განცხადებას აყოვნებს. ალბად ამიტომ **გ. გვაზავა** ასეთ სიტყვას აკვეხებს ირონიული კილოთი: სტრატეგიული უკან დახევაა.

შ. მესხიშვილი (სოც.-ფედ.) ამისთანა სერიოზულ მომენტს მაინც ბრძანდებოდით სერიოზული და იმ როლს ნუ ასრულებთ, რომელიც სეიმში მიიკუთვნეთ.

ჩვენი ფრაქციის აზრით, დღეს არავითარი კამათი ბეჭობილ საგანზე არ უნდა მოხდეს, იგი სხვა დროისთვის უნდა გადაიდოს და ამიტომ მხარს ვაძლევთ დ. ონიაშვილის წინადადებას კამათის დროებით შეწყვეტაზე.

პ. საბაშვილი (სოც.-რევოლიუციონერთა მხრივ აცხადებს, რომ მისი ფრაქციაც უერთდება.

გ. ვეშაპიძე (ნაც. დემ.) აცხადებს, რომ დღევანდელი მომენტი ისეთია, რომ საჭიროა ეროვნულ თვალსაზრისით განბჭობა ამ მომენტისა, ვინაიდან, გარეშე ეროვნულ საბჭოსი, არ არის არც ერთი დაწესებულება, სადაც შეიძლება წმინდა ქართული თვალსაზრისით შეფასება მომენტისა. რომელიც ამავე დროს სეიმში და „კრაევოი ცენტრში" იქნება კამათის საგნად გადაქცეული,—და თავის ფრაქციის სახელით მოითხოვს კამათი არ შესწყდეს.

გ. ლასხიშვილი. ოთხი ფრაქცია მომხრეა კამათის მოსპობისა, ერთი წინააღმდეგია, ამ რიგად შეთანხმება ამ საკითხში არ მოხდა. ამიტომ კენჭს ვუყრი წინადადებას კამათის მოსპობის შესახებ.

ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ ნაც.-დემოკრატებისა, კამათი ისპობა, რის შემდეგ სხდომა ეროვნულ საბჭოსი იხურება.

სააღგილმამულო რეფორმა

ტფილისი. 16 მაისი „ანდონსანი". თანახმად მიწათმოქმედების სამინისტროს საიურისკონსულტო ნაწილის განმარტებისა, ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 23 თებერვლის დეკრეტი ადგილ-მამულის ყიდვა-გაყიდვის აღკრძალვის შესახებ შეეხება ყოველგვარ ყიდვა-გაყიდვას, რაც კი ნაყიდობის აქტის შესრულებას მოითხოვს ქალაქს-გარეთის მიწებზე. აქ შედის აგრეთვე საგარაკო ადგილები და საბალახოც და სხვა, არავითარი ცვლილების შეტანა არ შეიძლება მათ შესახებ. სააღგილ-მამულო რეფორმის გატარების დროს იქნება გამორკვეული, რა პირობებში არის შესაძლებელი გაყიდვა და დაგირავება.

—

მიწათმოქმედების სამინისტროს საიურისკონსულტო განყოფილებამ განმარტა, რომ სააღგილ-მამულო კომისიების მუშაობის გეგმა უნდა საყოველთაოდ იქმნას გამოქვეყნებული, ცნობები უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ გაზეთ „კავკაზის" საშუალებით და ამას გარდა სათანადო სასოფლო საზოგადოებებში სასოფლო კომისარიატების საშუალებით.

—

მიწათმოქმედების სამინისტრომ მიანდო სააღგილ-მამულო კომიტეტებს მიუზომონ მონასტრებსა და ეკლესიებს მიწა ნორმის საზღვრებში და ამით მისცენ მათ საშუალება საკუთარი მეურნეობა აწარმოონ.

—

მიწათმოქმედების სამინისტრომ განმარტა, რომ საზოგადო ღირებულების მიწები (მცირე წლოვანთათვის გაშენებულ კოლონიების, სასწავლებლების და სხვ) არ იქნება ჩამორთმეული, თუ ეს დაწესებულებანი თავის მეურნეობას აწარმოებენ. არ იქნება ჩამორთმეული აგრეთვე საბალახო ადგილები.

ლენინ I და მაჰმედ V ინტერნაციონალი

ამ სათაურით რუსეთის სახალხო სოციალისტების გაზეთში, რომლის თანამშრომლებადაც ითვლებიან მიაკოტინი, პეშეხონოვი და სხვა რუსის ცნობილი მწერლები, დაბეჭდილია ქვემოდ მოყვანილი ფრიად საინტერესო წერილი ა. პეტრიშჩევისა ამიერკავკასიის საქმეების შესახებ. მოგვყავს ეს წერილი სავსებით.

„ეს, რასაკვირველია, წინანდელი ინტერნაციონალი არ არის,—არც პირველი, არც მეორე.., არც ის, რომლისთვისაც ციმერვალდისტებმა 1917 წელს ზაფხულს საჩქაროდ მოაწყვეს სტოკჰოლმის კონფერენცია. ეს ახალი ინტერნაციონალია. იგი ჯერ არ გამოსთხოვებია ძველ ფრაზეოლოგიას. მაგრამ სულ სხვანაირი შინაარსი ეძლევა ახალ სიტყვებს. და ჩვენც უნდა დავაფასოთ იგი არა სიტყვების, არამედ საქმის მიხედვით. გაზეთებმა ეხლახანს მოიტანეს ცნობა, ეჭვს გარეშეა, დიდი საქმეების შესახებ. ახალმა „ინტერნაციონალისტებმა" გადასწყვიტეს ამ ქვეყანაზე დაამყარონ „ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ". ამ მიზნით ჯარები გაგზავნეს სხვა და სხვა კუთხებისკენ, არ დაივიწყეს ამიერკავკასიაც. გერმანია-ოსმალეთის ჯარებმა გვაუწყეს ამოჟლეტა იმ ერებისა (განსაკუთრებით კი სომხებისა), რომელმაც არ მოისურვეს ისეთი თვითგამორკვევა. რანაირიც ჰქონდათ მეჰმედ მეხუთეს და ვილჰელმ II. ამიერკავკასიის ერებმა საჩქაროდ მაინც მოაწყეს თავდაცვის საქმე.

გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები, რომ გერმანელები და ოსმალები საკმაოდ

დაზარალდნენ ყარსთანა და ოზურგეთთან მაგრამ ამასთანავე ერთად გამოჩნდა სხვა ცნობებიც—ბოლშევიკების სათანადო გარდაწყვეტილებების შესახებ. ბოლშევიკებმა პირდაპირ არა სთქვეს, რომ გერმანიის იმპერატორსა ოსმალეთის სულთანს ეხმარებიან მათ „გადასწყვიტეს“,—ასეა გამოცხადებული 28 აპრილის გაზეთებში,—„გაიგზავნოს ჯარი ამიერკავკასიის წინააღმდეგ კონტრ-რევოლიუციის ბუდის მოსასპობად“. მაგრამ სიტყვები იაფი საქონელია. საყურადღებოა ფაქტი: როდესაც გერმანელებსა და ოსმალებს ცუდად წაუვიდათ საქმე ამიერკავკასიის სამხრეთით, რუსეთის ბოლშევიკებმა იერიში მიიტანეს იმავ ამიერკავკასიაზე ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან. „შეთანხმებული მოქმედება“... მიზანსაც მიაღწიეს. 30 აპრილს გამოქვეყნდა ახალი ორი ცნობა. ერთი არის გერმანელებისა: „ყარსი ავიღეთ. ხელთ ჩაგვივარდა 860 ზარბაზანი“. მეორე ცნობა არის ბოლშევიკებისა: „საბჭოების ჯარი ბაქოდან უახლოვდება ტფილისს“. ტფილისიდან ყარსამდე მაინც და მაინც გრძელი გზა არ არის. ძალიან ცოტაღა დარჩა, რომ საბჭოების რაზმები და გერმანია ოსმალეთის ჯარები შეერთდნენ და „ბოლო მოუღონ კონტრ-რევოლიუციის ბუდეს“.

ასის წლის წინათ იმპერატორების „წმინდა კავშირი ასე არ იქცეოდა. იგი ებრძოდა დიდებულ დემოკრატიულ აზრებს, რომლებიც საფრანგეთის რევოლიუციამ წამოაყენა. მაგრამ ებრძოდა ისე, რომ თავის აბსოლიუტისტურ ბუნებას არ მალავდა, თავის სახელით მოქმედებდა და არა სხვისი დროშის ქვეშ. ბერლინისა და სტამბოლის სულთანები ციმერვალდის ინტერნაციონალის ფერს იღებენ. ლენინიცა და ტროცკიც, ვითომდა, იმავე ინტერნაციონალის სახელით მოქმედებენ.

მერე რა არის? ეს საშუალებას აძლევს მათ დროებით გაიმარჯვონ, მოატყუონ ხალხი, მაგრამ ისტორიასა და რეალურ ძალებს ვერ მოატყუებს და ვერავითარი ინტერნაციონალური სიტყვებით ვერ დამალავს ფაქტიურ მდგომარეობას: ბოლშევიკებმა უშველეს მაჰმედ მე-5 ყარსის აღებაში, მაჰმედ მე 5 ჰშველის ბოლშევიკებს მათი ჯარების წინსვლას ბაქოდან ტფილისამდე“.

ასე მშვენივრად აფასებს ბოლშევიკების როლს ადამიანი, რომელსაც არ დაჰკარგვია უნარი საღი აზროვნებისა და მოვლენათა ობიექტიური შეფასებისა. ჩვენს გაზეთში არა ერთხელ გამოთქმულა ის მოსაზრება, რომ სწორედ ბოლშევიკურმა მიღალატურმა და მუხანათურმა საქციელმა მოუსპო ქართველ ხალხს უნარი თავის დაცვისა და სწორედ იმავე ბოლშევიზმმა მიგვაცა ხელში ოსმალეთს.

ასევე სწორედ აფასებს ბოლშევიკების როლს რუსის მწერალი, რომელიც მიუდგომლად უცქერის ჩვენში შექმნილ მდგომარეობას.

ხმა ბათომიდან

I.

ქ. ბათომი.

1918 წლის 1-ლ აპრილმა საქართველოს მრავალტანჯულ ისტორიას ერთი შავი ფურცელი კიდევ ჩაართო... ქართველმა ერმა, ოდესღაც ძლიერმა და გულოვანმა, ამ დღეს დაჰკარგა კარი ჩვენი ქვეყნისა, მისი ეკონომიური და პოლიტიკური ზრდის წინამორბედი—ქ. ბათომი და მასთან ერთად სამშობლო-დედის ძუძუს მოსწყდა ოდესღაც მისი ერთგული შვილი—აჭარა-ქობულეთი... სწორედ ამ დღეს ჩვენს ეროვნულ მთლიანობას ლახვარი ჩასცეს და ქრისტიან-ქართველთ სამუდამოდ ჩამოსცილდნენ მათი ძმანი ქართველი მაჰმადიანები. საუცხოო კუთხე ივერიისა ოსმალეთმა ხელში ჩაიგდო და აუარებელ სიმდიდრით აღსავსე ქვეყანას დაეპატრონა... ევროპისაკენ მიმავალი გზა შუაზე გადაგვიჭრეს და უშველებელი კედელი შემოგვივლეს, რომ ევროპის ბრწყინვალე მზემ ვეღარ დააფრქვიოს ჩვენს სამშობლოს თვისი სხივები... ვისაც უნახავს ბათომი, ვინც ოდესმე დამტკბარა მისი მშვენიერებით, ვისაც ყურადღება მიუქცევია მისი საუცხოვო მდებარეობისათვის, რასაკვირველია, ის უფრო მწვავედ იგრძნობს ბათომის დაკარგვას და უიმედობის მწარე ნაღველი დაჰქჯნის მის გულს... უნებლიეთ დასვამ კითხვას: რას წარმოადგენს საქართველო უბათომოდ? ეკონომიურად და პოლიტიკურად დაქვეითებულს მხარეს, იმ მხარეს, რომლის აუარებელი სიმდიდრე ყოველთვის უცხო კაპიტალისტების ხელში იქნება...

ოსმალეთისათვის ბათომს, როგორც ეკონომიურის აგრეთვე პოლიტიკურის მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს. აქიდან უნდა გაიზიდოს უცხოეთში ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე და იმავე დროს ბათომის ხელში ჩაგდებით ოსმალეთმა მთელ ამიერკავკასიაზე ბატონობა მოიპოვა.

2.

ჩვენი ჯარი.

ჩვენ გვეგონა, რომ ქართველთა ჯარი მეტს სიმხნევეს, მეტს გულადობას გამოიჩენდა... გვეგონა რომ ჩვენი რაზმები სისხლის უკანასკნელ წვეთამდის იბრძოლებდნენ ბათომის დასაცავად...

თითქოს საბუთიც გვქონდა ამის საფიქრელად. ბათომი ამ ბოლო დროს ხომ დიდს სამხედრო ბანაკს წარმოადგენდა... აქ მოიყარა თავი მთელმა გურიამ, აქეთკენ მოემგზავრებოდნენ იმერნი, ხშირად შეხვდებოდით ქართლკახელებს... საქართველოს ყველა კუთხეთა მამაცნი შვილნი მზად იყვნენ თითქოს ვერაგ მტრისათვის ღირსეული პასუხი გაეცათ... განუწყვეტელი გმირული სიმღერები გურულთა, მათი შეუდრეკლობა ლომისებური, მხიარული სახეები, მედგარი საქმიანობა,—დიახ, ყველაფერი ეს თითქოს იმას გვიმტკიცებდა, რომ სამშობლოს და რევოლიუციას კარგი დარაჯი ჰყავს და ვაი მას, ვინც გაბედავს და ხელს შეახებს მის დამოუკიდებელ არსებობას და რევოლიუციის დიდ მონაპოვარ თავისუფლების დასამარებას... სრული იმედი გვქონდა, რომ ოსმალთა მოქანცული ჯარი შედრკებოდა, ოდეს ჩვენი რაზმების სიმხნევეს და ვაჟკაცობას დაინახავდა, და ცუდი განზრახვისაგან ხელს აიღებდა... ვსასოებდით, რომ გამარჯვების ალამით ხელში ყველა თავის საქმეს დავუბრუნდებოდით და სამშობლოს დემოკრატიულ ნიადაგზე აღმშენებლობისათვის ვიზრუნებდით... ვსასოებდით, რომ სულ მოკლე ხანში სისხლის მღვრელი ომი დამთავრდებოდა, ბოლო მოეღებოდა ძმათა მორის შურსა და მტრობას, და დამკვიდრდებოდა სიმშვიდე, გამეფდებოდა სიყვარული, ძმობა, ერთობა.

მაგრამ... ეს წყეული მაგრამ ხომ სულ თან გვახლავს, მაგარიც ის არის, რომ რასაც ვფიქრობდით და ვნატრობდით ის მხოლოდ ფუჭი ოცნება იყო, ოცნება განუხორციელებელი და დაიმსხვრა კოშკი ოცნებისა ჩვენისა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა სინამდვილე მწარე, სასირცხვილო... სასოება ჩვენი ნათელი, როგორც სამხრეთის მზე გაჰქრა, და გულის მღრღნელმა სევდამ დაიპყრო მისი ადგილი; ის რაც მოხდა ჩვენს თვალთა წინაშე დასაჯერებელი არ არის და სხვას რომ ეთქვა არც დავიჯერებდით... მოყვარეს პირში უძრახეს მტერს-კი პირს უკანაო“, ასე სთქვა ვიღაც ბრძენმა და ნება გვიბოძეთ მკითხველო, ვაღიაროთ სრული ჭეშმარიტება და გადავშალოთ ფურცელი სიმართლისა...

წინდაწინვე დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ჩვენს აზრს ბევრი არ გაიზიარებს, შეიძლება კონტრ-რევოლიუციონერიც გვიწოდონ, როგორც სჩვევიათ, მაგრამ ამის და მიუხედავად უშიშრად გამოვსთქვამთ იმას, რასაც ვფიქრობთ..

№-ს

არ მომწონს ქალი გულ-გამშრალი, მოხეტიალე,
ვამბობ და ვიტყვი სიკვდილ წინაც სულ ზედიზედა;
დღეს გვინდა სწორედ, აი ახლა, მებრძოლ გმირების
დამბადებელი და აღმზრდელი ნამდვილი დედა.

და თუ შენ ქალო, ამ ჩემს სიტყვებს იუკადრისებ,
უკან წაღებას არ ვიკადრებ არა და არა;
რაც აქამდისინ მოიღალეთ ცრუ სიყვარულით
ჩვენს სატანჯველად, სავალალოდ, ისიცა კმარა!

ამ ლექსს რომ გიძღვნი სათვალავში ათასი სხვა მყავს
ჭიან ვაშლივით ძირიანად შესარხეველი;
ასე უბრალოდ რომ სტკეპნიან აფსუსი არის
ლამაზი ქვეყნის და სამშობლოს ტურფა ტყე-ველი.

დეე ეს ლექსი როგორც უნდათ ისე მიიღონ
დღეს შენთან ერთად თუნდ გარეშე ბანოვანებმა,—
ოღონდ-კი თქვენი ქარაფშუტა ქცევის წალი
აღარ იხილონ მოქანცულმა ჩემმა თვალებმა!..

შიო მღვიმელი.

ჩვენი დაღუპვის მიზეზი თვითონ ჩვენვე ვართ. ბოლშევიზმის იაფმა ლოზუნგებმა გარყვნეს ჯარი რუსეთისა და ეს სენი მოედო ჩვენს ჯარსაც... ომის წარმოებისათვის საჭიროა მტკიცე დისციპლინა... უდისციპლინო ჯარი უფრო ცხვრის ფარას მოგვაგონებს, რომელიც მგლის დანახვაზე აქეთ-იქით გაიფანტება ხოლმე. თუ ეს თუ ის რაზმი თავისი უფროსის განკარგულებას არ ემორჩილება, საქმე ცუდათ წავა და დამარცხება აუცილებელია... მიტინგების გამართვა მოწინავე პოზიციებზე და სჯა-ბაასი იმის შესახებ, წავიდეთ, თუ არ წავიდეთ მტერზე იერიშით, ხეირს არ დააყრის არც ერთს მებრძოლს მხარეს... ჩვენ იმაში ვართ დამნაშავენი, რომ სწორედ ისე ვიქცეოდით, როგორც არ უნდა მოვქცეულიყავით. ეს უდიდესი შეცდომა ჩვენი მხოლოდ მაშინ ვიგრძენით, ოდეს გამარჯვებულ ოსმალთა ჯარი ბათომში შემოვიდა... ყველა სასოწარკვეთილებას მიეცა... „როგორ, ამ ჯარმა დაგლეჯილ-დაფხრეწილმა გვაჯობა ჩვენ? სირცხვილი, სირცხვილი მას, ვინც ჩვენი ჯარი ისეთს მდგომარეობამდის მიიყვანა, რომ ბრძოლის ველი მტერს დაუთმო და ქუდმოგლეჯილი თვითონ არ იცოდა სად მირბოდა“... ხმა მაღლა გაიძახოდა ყოველი ჩვენგანი.., და ყველაზე მეტი ლანძღვა-გინება ხვდებოდა ეგრედწოდებულ როტის კომიტეტებს... როტის კომიტეტებმა პირ-დაპირ სასირცხვილო როლი ითამაშეს ჯარის დეზორგანიზაციაში.. ეს კომიტეტები იმისთანა საქმეებში ერეოდნენ, რომელიც მათს კომპეტენციას ეკუთვნოდა, და რასაც მათ სრულიად არაფერი გაეგებოდათ... საომარ საქმეებში ჩარევა ისეთ ჩვეულებად გადაიქცა, რომ ოფიცერს აღარაფერი მნიშვნელობა ჰქონდა... და რასაკვირველია შეცდომებიც ბევრი იქნებოდა... დროა სიმართლე ითქვას, რომ შემდეგში ეს შეცდომები თავიდგან აცილებულ იქმნას... დროა შევიგნოთ, რომ სინიდისზე დამყარებული დისციპლინა შეიძლება მხოლოდ იქ გატარდეს, სადაც სინიდისი ფეხ ქვეშ არ არის გათელილი... და სადაც მას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ იქ უნდა იყოს მხოლოდ შიში და შიში... გერმანიას ყველაზე შეგნებული ჯარი ჰყავს მაგრამ იმავე გერმანიაში სასტიკი დისციპლინა, შიშზე დამყარებული დისციპლინა არის გამეფებული... ის რაც მოხდა ბათომში 1 ლ აპრილს,—ეს უწესრიგო დახევა ჩვენი ჯარისა, მხოლოდ იმას გვიმტკიცებს, რომ ადრეა, ჯერ ადრე ჩვენთვის ის ბედნიერი დღე, ოდეს ჩვენი აღმშენებლობის საქმე ყოველი ჩვენგანის სინიდისზე იქნება დამყარებული... სიმწიფის მოწმობის მიღების ღირსნი არ ვყოფილვართ, ვინაიდან ჯერ კიდევ ძლიერ ბევრი უნდა ვისწავლოთ... „ოფიცრებმა გაგვყიდეს, გვიღალატეს“, ყვიროდა უმრავლესობა... ოფიცრებმა კი არა, ჩვენი თავი თვით ჩვენვე გავყიდეთ, სასირცხვილო ბოძზე გასაკრობი ჩვენა ვართ... „გაყიდეს ბათომი, ოქროზე გაყიდეს“—იძახის ჯარისკაცი და თან ქუდმოგლეჯილი მირბის... ის კი არ იცის საცოდავმა რომ ამით თვითონ ჰყიდის ბათომს... „უგუნურნი“ თვით არ ვიცით რას ჩავდივართ!!!..

3.

დროებითი ზავი და ბათომის აღება.

მარტის 29—6 საღამოს 5 საათზე ტრაპიზონიდან ჩხენკელის დეპეშა მოვიდა, რომლითაც ის გვამცნობდა, რომ 48 საათით ბრძოლა უნდა შეწყვეტილიყო... როგორც ამბობდნენ, ჩხენკელი ბრესტლიტოვსკში დადებულ ზავის პირობებს ეთანხმებოდა, რომლის ძალით ბათომი უბრძოლველად ოსმალთა ხელში გადადიოდა. ბათომის ქუჩები სავსეა ხალხით. მიტინგები გაჩაღებულია, თუმცა კომენდანტის ბრძანებით ყოველივე შეკრება ქუჩებზე აღკრძალულია... ზოგი მომხრეა ჩხენკელის მიერ გადადგმულ ნაბიჯისა, ზოგი წინააღმდეგი... ბათომის ციხის ფორტებიდგან შესწყდა ზარბაზნების გრიალი... პარლამენტიორები თეთრის ბაირაღებით პოზიციებისაკენ მიემგზავრებიან... ეტყობა, რომ ოსმალებსაც მოუვიდათ რაიმე განკარგულება, ვინაიდგან იმათაც ბრძოლა შესწყვიტეს... უკვე კარგად დაღამდა, მაგრამ ხალხი არ იშლება ეხლა უკვე ხშირად შეხვდებით ქოროხიდგან, ოროთაბათომ-ახალშენიდან, დაბრუნებულ ჯარისკაცებს... „ზავია, ზავი, ომი აღარ გვინდა“—გიპასუხებენ, როცა ჰკითხავ მიზეზს პოზიციიდან დაბრუნებისას... ეუბნები, რომ ზავი მხოლოდ დროებითია, რომ ძალიან შესაძლებელია ომი კვლავ ასტყდეს, მაგრამ ყურსაც არ გიგდებს და ყაზარმისაკენ მიდის, რომ „ვინტოვკა“ პატრონებით და თვისი ბარგი-ბარხანით სახლში წავიდეს. „წადი, და ეხლა შენ იომე! ოთხი წელიწადია თქვენი გულისათვის სისხლსა ვღვრი; ეხლა მეც მინდა მოსვენებაო!!—აი მათი ჩვეულებრივი პასუხი... ის კი არ იცის საცოდავმა, რომ მოსვენება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მტერი კარზე არ გვიყოლება, რომ ფრონტის დაცლით მტერს გზა ეხსნება, რომ მტერი შემოიჭრება მის კარმიდამოში და თავისუფლების მაგიერ დესპოტიზმის ჭრელ ხიშტსა და მძიმე მათრახს გაამეფებს.. შეიძლება იცის, მაგრამ მისი არსება რადაც შიშს მოუცავს, მას ბრძოლა აღარ შეუძლია, იგი გადასცდა და მტერს ვეღარ შეხვდება პირდაპირ ქვეითი ჯარი სტოვებს პოზიციებს.. იქ რჩებიან მხოლოდ არტილერისტები... არტილერია-კი თითქმის სულ მოწყვლე ახალგაზრდობისაგან შესდგება მარტის 31—1 დროებითი ზავის ვადა გავიდა... ბათომიდგან აუარებელი ხალხი მიემგზავრება... მრავლად შეხვდებით ჯარისკაცებს, რომელნიც ქალებთან ერთად გარბიან. საღამოს 6 საათზე ტფილის სამგზავრო მატარებელი უკანასკნელად გავიდა და აუარებელ ხალხთან ერთად ჩვენი „გულადი ჯარისკაცებიც წაიყვანა... ამუშავდნენ ფორტების ზარბაზნებიც... ისმის მათი შეუწყვეტელი გრიალი... მაგრამ რას იზამს მარტო არტილერია, თუ ქვეითა ჯარმა დახმარება არ გაუწია... ქვეითა ჯარი კი შეშინებული უკან იხევს უწესრიგოდ... საველე და სამთო არტილერია მხნედ მუშაობს და მტერს იკავებს... მათი ჯარისკაცები სიცოცხლეს არ ზოგავენ მტრის მოსაგერიებლად... ცაგურია, გოგიტიძე, შავგულიძე, დოლიძე და სხვა ოფიცრები ქართველურად იბრძვიან, ამხნევებენ ჯარისკაცებს..

მაგრამ რას იზამ... იტყვიან: „ერთი ბრძოლის ველზე მეომარი არ არის“... მათი გმირობა ეს მხოლოდ წვეთია ზღვაში... საღამოს დიდი ბრძოლა ასტყდა... ქალაქში გარკვევით ისმის სროლა... ოსმალონი ძალზე მოაწვენ ბათომს... სწორედ რომ ჯოჯოხეთური ღამეა...

ღამის სამ საათზე საველე არტილერიას უბრძანებენ, რომ „ანარიის“ ფორტს დაუშინონ, ვინაიდგან იგი უკვე ოსმალოების ხელში გადასულა. ანარიის აღებით იმედი იკარგება... იგი ბათომის კარია... გასაკვირველი ის არის, რომ ფორტებს მათი პატარა რაზმები 12—15 კაცისაგან შემდგარნი იკავებენ... ჩვენები უსირცხვილოდ იარაღს ჰყრიან და ტყვედ უვარდებიან... ბათომი დიდ განსაცდელშია. დილის 8 საათზე აპრილის 1-ლს იღებენ „ჰამიდიეს“. ქალაქში ხმები დადის, რომ ბათომი დაეცა... 11 საათზე ხმები მართლდება..

ბათომი ოსმალებს გადასცეს.. ჩვენი ჯარისკაცები ორი-სამი თოფით წელზე მორბიან უკან და ტრანსპორტებს და ვაგონებს აწვებიან... სამ საათზე ქოროხზე მდგარი რაზმიც დაბრუნდა... ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით ბარცხანისაკენ მირბის, რომ გაასწროს.. „გაგვყიდეს, გაგვყიდეს ჩხენკელმა და გეგეჭკორმა“—იძახიან ჯარისკაცნი.. „ოფიცრებმა გაგვყიდეს“—იძახიან სხვანი... ერთი სიტყვით თვითონ არაფერში არიან დამნაშავენი...

5—6 საათზე ბათომში ოსმალთა ჯარი შემოვიდა... ეტყობათ, საუკეთესო ჯარი ქალაქში შემოიყვანეს და სხვა ქალაქ გარედ დასტოვეს. ეს საათი კარგი გაკვეთილი იყო ქართველი ერისათვის... ჩვენს წინ იყო ორი არმია: ერთი მტკიცე დისციპლინით აღჭურვილი—ოსმალეთისა, მეორე კი უდისციპლინო მასა—ქართველთა „არმია“... ნაყოფი ბრძოლისა: გამარჯვება მათ, და სასირცხვილო დამარცხება ჩვენ..

დეე ეხლა შეიგნონ ჩვენებმა, რომ ომის წარმოებისათვის საჭიროა ერთი რამ: დისციპლინა, დისციპლინა და კიდევ დისციპლინა... ბათომის დაცემა კარგი გაკვეთილი იყო მათთვის, ვისაც პოლიტიკური საჭე ხელთ უპყრიათ .. დაე იცოდნენ მათ, რომ ის ხალხი, რომელმაც თვისი სამშობლო და თვისი რევოლიუცია არ დაიცვა, რომელიც თავის ნაციონალურ და აგრეთვე სოციალურ ინტერესებს ფეხქვეშ სთელავს, დიახ, სწორედ ის ხალხი არ დაიცავს საერთაშორისო ინტერესებს და სიტყვა „ინტერნაციონალი“, მხოლოდ მშრალი სიტყვა იქნება, რომელიც პუბლიცისტურ სტატიებს ძალიან ამშვენებს... სიტყვიდან საქმემდის კი ძალიან შორს არის! ძალიან შორს!!..

4.

ბათომის აღების შემდეგ.

„სირცხვილი ქართველ ერს!!“ აი რა ითქმოდა მაშინ, ოდეს ჩვენი ტყვეები, რიცხვით 2500 კაცამდე არდაგნის ყაზარმებისაკენ მიჰყავდათ... „სირცხვილი იმ ერს, რომელმაც ამისთანა შვილები აღზარდა“—გაიძახოდნენ სასოწარკვეთილნი... რუსები ხშირად იმეორებენ ლერმონტოვის სიტყვებს: бѣжали робкіе грузины“...

ვინ გაამტყუნებთ... სრული ჭეშმარიტებაა. საუცხოვო შესახედავი, წარმოსადეგნი ვაჟკაცნი, იარაღ აყრილნი არიან და ძონძებში გახვეულ ოსმალთა ასკერებს ტყვედ მიჰყავთ... განა ამაზე მეტი თავის დამცირება შეიძლება?... „ვაი ჩვენ თავს, ვინ გვაჯობა, ვინა?“ იძახიან ცოტად თუ ბევრად შეგნებულნი ჯარისკაცები... მაგრამ „გვიანღა არის თითზე კბენანი“: უთქვამს ვიღაც ბრძენს. ძველად ოსმალეთის მთავრობამ თვისი სიმკაცრე უკვე დაგვანახვა; მათი განცხადებები ამშვენებენ ბათომის ქუჩებს,—ვინც დანიშნულ დროს არ ჩაგვაბარებს იარაღს ჩამოხრჩობილი იქნებაო...

ყველა ტყვები დანიშნულ დროზე უნდა გამოცხადდნენ აზიზიეს მოედანზე ვინც არ შეასრულებს ამ ბრძანებას, სასტიკად იქნება დასჯილი ოტომანთა იმპერიის კანონების ძალით“. აუარებელი იარაღი მიაქვთ კომენდანტთან, ტყვეები აზიზიესაკენ მიეშურებიან... ორი დღის შემდეგ გაჩნდა ჟანდარმერია—პოლიცია ვერ ვეჩვევით იმ აზრს რომ თავისუფალნი გუშინ დღეს ოსმალეთის მონები ვართ, ვერ წარმოგვიდგენია, რომ ბათომი ჩვენი აღარ არის... მაგრამ, როგორც კი დაინახავ მათ ჯარისკაცებს, პოლიციას, განცხადებებს, მაშინ რწმუნდები, რომ ბათომი ჩვენი აღარ არის, რომ სამუდამოდ დავკარგეთ ის, რაც ყველაზე უფრო ძვირფასი იყო ჩვენთვის, დარწმუნდები და მწარე სევდა გულს გღრღნის, შავი ფიქრები თავს დაგტრიალებენ... გადახედავ საუცხოვო, წარმტაც ზღვას, მის ნაპირზე გაჭიმულს კიკლუცს ბაღს, თვალს მოავლებ გარეშემორტყმულს ამწვანებულს მთებს, თვითონ ქალაქს, მის ტროპიკულ მცენარეებით შემოსილ ქუჩებს და გულს ბოღმა მოგაწვება... ნუ თუ? ნუ თუ სამუდამოდ დავკარგეთ ჩვენი ბათომი და ჩვენსა და მოძმე მაჰმადიანთ შორის გაითხარა უფსკრული აღუვსებელი... ნუ თუ რელიგიურმა ფანატიკოსობამ ისე ჩააქრო... ჩაახშო მათში ეროვნული გრძნობა, რომ ისინი ჩვენ ხელს არ გამოგვიწოდებენ?.. ნუ თუ? ნუ თუ?

5.

ცხოვრება ბათომში.

ცხოვრება ბათომში თანდათან წესიერ კალაპოტში ჩადგა აღარ ისმის განუწყვეტელი სროლა ქუჩებში.... ოფიცრები თავისუფალნი არიან და კვირაში ორჯერ კომენდანტის წინაშე უნდა წარსდგენ. თავისუფალია აგრეთვე მოწაფე-სტუდენტობა... ჯარისკაცები არდაგანის ყაზარმებში იმყოფებიან. ხალხი, პირველ ხანად დაშინებული, ეხლა თავისუფლად დადის ქალაქში. პროჟექტორები და თეატრები კვლავ გაიხსნა... არის ქართული სცენის მოყვარეთა დასიც მსახ. ჯაყელის და ხოხელის მეთაურობით.. ერთი სიტყვით, ბათომს სრულიად არ ეჩნევა ის, რომ ამ რამდენიმე კვირის წინად ომის ქარცეცხლში იყო გახვეული... ოსმალების ჩვენდამი მოპყრობა პირდაპირ საკვირველია... ხშირად დაინახავთ მათ ოფიცრებს ჩვენ ოფიცრებთან ერთად.. ძალიან კეთილი განწყობილება სუფევს როგორც მათის აგრეთვე ჩვენის მხრივ... დელეგაციას მოუთმენლად ელიან... დღეს 6 მაისს ჩვენი დელეგაცია შუადღის 2 საათზე ჩამოვიდა... 5 საათზე მოვიდა ოსმალთა დელეგაციაც... კონფერენცია 9-ში გაიხსნება... მაგრამ ამის შესახებ შემდეგ...

ირაკლი ფერაძე.

გორის ცხოვრება

არ მინდა ჩვეულებრივი, ქართველური ოპტიმისტობა გამოვიჩინო და ვსთქვა, რაკი გორში ქართველი ქალები ასაქმიანდნენ, საქართველოს ეხლა აღარა უჭირსრა და ვიღა გაჰბედავს ქართველ ერზე სთქვას რამე ავი მეთქი. არ მინდა მით უმეტეს, რომ კვეხნა და უნიადაგო ოპტიმისტობა ქართველობას ლამის სენად გარდაგვექცეს, ისეთ სენად, რომელმაც შეიძლება ბოლოს და ბოლოს სასოწარკვეთის და დაღუპვის სამარე გაგვითხაროს. განა ჩვენ ცოტა ვიყვირეთ და ვყვირით პრესაში თუ მიტინგებზე ჩვენს ვაჟკაცობასა და მამულიშვილობაზე? განა ყოველ დღე არ მოდიოდა და არ მოდის ამბავი აქა და აქ, დიდი და პატარა, ქალი და კაცი ჯარში ეწერება, ფიცს სდებს ერთგულებაზე და მარჯვენაზე იფურთხება—ვუტრიეთ დედას მტერს და ვიდრე ბათომს უკან არ დავიბრუნებთ და თათარს არ ვასროლინებთ კუდით ქვას, უკან არ მოვიხედავთო და... როცა სიტყვა საქმედ უნდა ქცეულიყო და ერთი მუჭა მტერი კარს მოგვადგა, თავზარი დაგვეცა და ლაჩრულად, შერცხვენილებმა [illegible] და ტიტველ მტერს გამოვექეცით. ბრბოს წინაშე შედრკა ჩვენი ჯარი და ბათომის უძლევი ფორტები უბრძოლველად მიატოვეს... დონკიხოტისებური კვეხნა და სანჩო-პანჩოსებური საქმიანობა!.. მოსაწონია თქვენმა მზემ! მაგრამ უსამართლობა იქნებოდა ჩვენი ქალების საქმიანობა სრულიად უყურადღებოდ მივვეტოვებინა. მათ ჩვენ ორგანიზაციასთან პატარა წრე შეადგინეს და დიდს საქმიანობას შეუდგნენ. დიდი საქმიანობაა სწორედ ჩვენი ჯარის დახმარება, რომელიც მშიერი და მწყურვალი სდგას ბრძოლის ველზე და მამულის სამზღვარს უდგია სადარაჯოდ. ამ წრემ მოახერხა და მიაწოდა ბათომის პარტიზანულ რაზმს სააღდგომო საჩუქრები, 12 მაისს 1066 მანეთი მოუგროვა ყულაბებით, ამ მოკლე ხანში კიდევ ეპირება წარმოდგენის ან სხვა რამის გამართვას ამავე რაზმისათვის და სათნოების დათა პატარა რაზმიც გაგზავნა ბრძოლის ველზე. სალამით ვეგებებით ჩვენი ქალების საქმიანობას და მამულიშვილობას და ვისურვებთ სხვა მიმართულების და უპარტიო ქალნიც ამოძრავებულიყვნენ და თვისი მცირე წვლილი მამულის დაცვის დიდი საქმის სამსხვერპლოზე მიეტანოთ. ჯარი საერთოდ გაჭირვებულია მეტადრე უსურსათოშით და თითო მუჭა ფქვილს, თითო გროშს თავის მნიშვნელობა ექმნება. მით უმეტეს მთავრობა საქმიანობით ფრიად არის დატვირთული, სახელმწიფო მექანიზმს იგი ახლად აწყობს, სახელმწიფო აპარატზე ახლად იწყებს საქმიანობას და გაუჭირდება უჩვეულო ხელი სახელმწიფო ცხოვრების ძვირდი შენობის აგებაც და ჯარის გამოკვების რთული საქმის წარმოებაც, მით უფრო, რომ ჩვენს დამოუკიდებლობას მტერი ბევრი გამოუჩნდა და ჩრდილო კავკასიიდანაც გაბოროტებული ბოლშევიკები ჩვენსკენ ერთ მუჭა ხორბალს აღარ უშვებენ და შიმშილით სურთ თავიანთ ბატონობის წინაშე ქედი დაბლა მოგვახრევინონ...

*

ეხლაც იწყენს ჩვენი ქალაქის გამგეობა და ვინ იცის რა ხარისხის პროვოკატორობად არ მონათლოს ჩემი საქციელი, მაგრამ არ შემიძლიან ხაზი არ გავუსვა მის უუნარობასა და უმოქმედობას. მოგეხსენებათ გორში, როგორც ყველგან, სასურსათო კრიზისია გამეფებული. მაგრამ ამ კრიზისმა, ვგონებ, ყველაზე ადრე აქ იჩინა თავი. მაგალ. ტალახივით პური, რომელიც მხოლოდ პირუტყვს ეჭმევა, აქ გირვანქა სამ აბაზად იყიდებოდა. როცა ამ პურზე უკეთესი ტფილისში იყიდებოდა გირვანქა 25 კ. ხოლო სურამში 30 კ. ბევრი ვიმტვრიეთ თავი ამ თილისმაზე, მაგრამ დღემდე ამ საიდუმლოების კვანძი ვერ გამოვხსენით და არც ქალაქის გამგეობამ მოისურვა ხალხისათვის ამ საიდუმლოების შინაარსი განემარტა, გაჭირვება ეხლაც არის ფრიად საგრძნობი. პურს დროზე ვერ იშოვნით და თუ იშოვნით, ისეთია, რომ... ღმერთო შეგცოდე, სიცოცხლე შეგზარდება. და როცა ღარიბსა და გაჭირვებულ ხალხს ეს პურიც დროზე ვერ უშოვნია და... საალდგომოდ, თითქოს საწყალიაო, დუქან-მაღაზიები პასკით აივსო, საიდან გაჩნდა ფქვილი, ვის ბეღლიდან ამოიღეს, არავინ იცის ის კი სინამდვილეა, რომ დღესაც, ამ სტრიქონების წერის დროს, დუქან-მაღაზიები ისევ არის პასკით გამოტენილი. ქალაქის გამგეობა ალბად თავს იმართლებს იმით, რომ ფქვილი კერძო ვაჭრებმა გაატყვრინეს საიდღაცო. ეს მართალია, რასაკვირველია, მაგრამ თავის მოვალეობას გამგეობა რად ივიწყებს? სპეკულიაციასთან, ჩარჩ-ვაჭრებთან ბრძოლა მისი ვალია თუ არა? ჩარჩ-ვაჭრებმა ორი კვირის წინადვე დაიწყეს ბაზარში ყიდვა კვერცხის, ერბო კარაქისა და სხვ. და ყველა ამაზე ფასი საქვეყნოდ ააწიეს, გამოაცოცეს საიდანღაც თეთრი ფქვილიც და პასკა იმდენი გამოაცხეს, რომ დღესაც სავსეა მაღაზიები, და ეს მაშინ, როცა მდაბიო და გაჭირვებულ ხალხს ტალახივით პურიც დროზე ვერ უშოვნია. ქალაქის გამგეობის ვალი იყო მიექცია ყურადღება ამ გარემოებისათვის, და თუ ჩარჩ-ვაჭრები თავისას არ მოიშლიდნენ, ფქვილისა და მასალისათვის რეკვიზიცია ეყო. ხალხი, ავადმყოფის პატრონები გამწარებულნი დარბოდნენ კვერცხებზე, კარაქზე და ჩარჩ ვაჭრების წყალობით თითო კვერცხს 80 კ. აფასებდნენ, როცა მანამდე 40 კ. იყიდებოდა. ქალაქის მამების ვალია უფრო მეტი მზრუნველობა გამოიჩინონ დამშეულ და გაჭირვებულ ხალხზე და უფრო ფხიზლად და გაბედულად ებრძოლონ ჩარჩ-ვაჭრობას და სპეკულიაციას, თორემ თბილად ჯდომას და ჯამაგირის აღებას ყველა ადვილად მოახერხებს...

ნათელა.

ოდიში და „ბოლშევიკები“

ამ საბედისწერო ჟამს, როდესაც ჩვენს პატარა სამშობლოს ათასგვარი საქმე აქვს გადასაჭრელი და აუარებელი გარეშე თუ შინაური მტერი მოსევია მას და უქადის მის არსებობას სრულ განადგურებას, ზოგან ზედ-

რულ საქართველოს კუთხეებში დღეს სულ საწინააღმდეგო სულისკვეთებას, განწყობილებას და მისწრაფებას ვხედავთ ნაცვლად სალი პატრიოტიზმისა და რევოლიუციონერობის.

რუსეთის გახულიგანებულ ჯარში ნამყოფი ჩვენი ქვეყნის შვილები ვერ გადარჩენილან იმ უსაშინელეს სენს, რომელსაც დღეს „ბოლშევიზმი" ეწოდება და არსებითად კი მხოლოდ წმინდა წყლის „ხულიგანიზმია"—არც მეტი და არც ნაკლები.

ამ უკუღმართად გაგებულ „ბოლშევიზმით", რუსის ჯარისკაცების საშინელი სენით შეპყრობილებმა მოსდევეს ჩვენს მხარეს ის ეპიდემია, რომელიც დღეს რუსეთში მძვინვარებს და რომელმაც, რუსეთი, ეს უზარმაზარი სახელმწიფო, დაღუპა და გაანადგურა.

ამასვე უქადის ეს დღეს ჩვენს სამშობლოს. სამწუხაროდ, ჩვენი სოფლის კარები მარადის ღია იყო უპასუხისმგებლო და თვითნება პირთა სათარეშოდ და ასეთივე ღიად დარჩა იგი დღესაც რევოლიუციის დროს.

„გაბოლშევიკებული" ჯარისკაცები, დღეს უკვე ნასალდათები ლაღად დათარეშობენ ოდიშის მინდორ-ველებზე და ეწევიან ვითომდა ხალხის საკეთილდღეოდ „თავიანთ მოღვაწეობას". ერთგვარი ტერორით, შიშით და სხვა და სხვა ლამაზ ფერადებით დახატული დაპირებებით თავიანთ მხარეზე გადაიყვანეს ოდიშის გლეხკაცობის დიდი უმრავლესობა. დღეს ოდიში ბოლშევიკებს აქებს, ადიდებს ის მიაჩნია მხსნელად.

„ბოლშევიკები" აი ვისკენ არის დღეს მათი აშკარა თუ მალული სიმპატია.

ლამაზ დაპირებებით მოტყუებულმა ხალხმა ის კი არ იცის, თუ რა საშინელს აბს უმზადებენ ისინი გადასაყლაპავად დღეს ქართველ მშრომელ დემოკრატიას და ქართველ ერს რომლის მონელება მათ არამც და არამც არ შეუძლიათ.

ხალხი ზევიდან კარნახს, „დირიჟორის" წკეპლს მიჩვეული დღეს რამოდენიმე პირთა ბრძანებით მოქმედობს.

ხალხი, რომელიც რევოლიუციის პირველ დღეებშივე შეაჩვიეს გაკუტებულად ზეპირებულ სიტყვებს და აზრებს და რომელსაც ერთ რომელიმე პარტიის ჰიპნოზის ქვეშ ყოფნას, მის ბრმა მიმდევრობას ჩასჩიჩინებდნენ; ხალხი, რომელსაც მოლჩინს რომლის ასრულებას სთხოვდნენ, აი ეს და ეს იწამეო, ასეთ ხალხში მიჩლუნგდა უნარი თვითაზროვნებისა, კრიტიკისა. და დღეს ვინც მას ხიბლავს ლამაზ ტყუილებით და თანაც შიშსა ჰგვრის, მისი ბრმა იარაღად ხდება.

ასე მოხდა ოდიშში.

დრო ცვალებადია. რა გაეწყობა. გუშინდელი „მენშევიკები" დღეს „ბოლშევიკობენ".

ვინ იცის თუ როდემდის იქნება საცოდავი ხალხი ასე მაჩანჩალად უპასუხისმგებლო და არა მკითხე პირთა ხელში. დღეს ოდიში ფუკანს წარმოადგენს და ყოველ წამს მოსალოდნელია მისი აფეთქება. რა ფორმასა და გამოხატულებას მიიღებს, რა სახის ტრაღედია დატრიალდება, ძნელი წარმოსადგენია.

სოფელი, საცოდავი სოფელი, ვერც რევოლიუციამ იხსნა ის ვიგინდარების თარეშისაგან. მაგრამ ერთი ვიკითხოთ, ვინ მეთაურობს დღეს მათ? ყოფილი ჯარისკაცები, რომლებიც თავიანთი ჯარისკაცის ფარაჯებით და იარაღით ერთგვარ პრივილეგიურ წოდებას წარმოადგენენ და ყოფილი პოლიციელები, ხალხი საეჭვო და წარსულში თავიანთ „მოღვაწეობით" საკმაოდ ცნობილნი.

ბატონ ყმობა განახლდა, ხოლო ახალი სახით, ძველი ფეოდალების ადგილი დაიკავა ახალმა, უფრო მკაცრმა და ბატონობის, პრივილეგიების მოყვარულმა წოდებამ ყოფილ ჯარისკაცთა, რომლებიც ბატონობის შესანარჩუნებლად ჯარისკაცის სახელს და ფარაჯას მაინც ატარებენ, მიუხედავად იმისა, რომ არც ერთ ჯარის ნაწილში არ ირიცხებიან და ზოგი მათგანი კი დამსახურებული დეზერტირია.

მშვიდობიანობის დამყარება ყოვლად შეუძლებელია, თუ ამ მძლეთა ძლიერ წოდებას იარაღი და ფარაჯა არ აქვს დღეს, ეს ორი ნიშანი პრივილეგიისა და ბრძანებლობისა.

უნდა განთავისუფლდეს ტანჯული სოფელი გალაღებულ გმირებისაგან და მიწის მუშები მედიდურ და ბრძანებლობითი მოხდა მოპყრობისაგან.

დროა, სოფელმა ერთხელ მაინც მოითქვას სული თავისუფლად, იგემოს სიტკბოება თავისუფლებისა და გაიგოს მისი მშვენება.

კმარა სოფლის ამდენი ტანჯვა, ეხლა მაინც ეღირსოს მას თავისუფლება.

ლეო ლოლუა.

სომხური პრესა

გერმანიის მოსვლის შესახებ ამიერკავკასიაში „ჰორიზონი" სწერს:

„ნელის, მაგრამ სწორი ნაბიჯით უახლოვდება გერმანია ჩრდილოეთით ამიერკავკასიას... იმ მხრით, საიდანაც რუსეთი მოვიდა და დამკვიდრდა სამხრეთით კავკასიონის ქედის აქეთ. ნოვოროსიისკი, ტიხორეცკაია და როსტოვი უკვე გერმანელების ხელშია. კავკასკაიადან გაიქცა ბოლშევიკების შტაბი. ანაპა გერმანელებმა დაიკავეს. ორი-სამი კვირის შემდეგ მთელი ჩრდილო კავკასია, ალბად, გერმანელების გავლენის და ბატონობის ქვეშ აღმოჩნდება და ბაქოს მიუახლოვდებიან.

ხმები გერმანელებმა ბათომში დესანტი გადმოსხესო, არ გამართლდა. დესანტი რომ გადმოესხათ და ისიც ასე ახლო ადგილას, ამის შესახებ ჩვენ გვეცოდინებოდა ისე, რომ არც სპეციალური ტელეგრამა იქნებოდა საჭირო, არც ოფიციალური ცნობა. პირდაპირ ვიგრძნობდით ამას ისე, როგორც ვგრძნობთ გათენებას და გაზაფხულის მოახლოვებას.

არ ვიცით რა მიზანი და პროგრამა აქვთ გერმანელებს ამიერ-კავკასიის მიმართ. ხმები ამის შესახებ ერთმანეთის საწინააღმდეგოა და გადასინჯვასა და შემოწმებას საჭიროებს. მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს გერმანელების განზრახვები და მათი მოსავალი სამოქმედო გეგმა, მაინც ასეთი ძლიერი კულტურული ფაქტორის მოვლენება ჩვენში საუკეთესო გავლენას იქონიებს ჩვენს გახრწნილ, გაველურებულ და დაშლილ სინამდვილეზე.

უფრო დასაჯერებელია, რომ გერმანია გამოიყენებს ამიერკავკასიას იმისთვის რომ სპარსეთ ოსმალეთის ფრონტს შეუერთდეს ინგლისთან საბრძოლველად. მას, მაშასადამე, სჭირდება ჩვენი რკინის გზა: გერმანია ალაგებს წესიერს მიმოსვლას და გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ვერ შესძლო ამიერ-კავკასიის მთავრობამ. სპარსეთ-ოსმალეთის ფრონტისათვის ამიერკავკასია უახლოესი ზურგის ნაწილი იქნება რასაც გერმანია თავისთვის გამოიყენებს. ის ალაგებს მშვიდობიანობასა და წესიერებას, უზრუნველყოფს მიწის დამუშავებას და წესიერ ტრანსპორტს, ესე იგი, გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ამიერ-კავკასიის სუსტი მთავრობის ძალას აღემატებოდა.

ყველაფერ ამას გააკეთებს გერმანია, ან აიძულებს სხვებს გააკეთონ ეს, და პირველ ყოვლისა, [illegible] თავის [illegible] ინტერესებისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს კარგი იქნება ამიერკავკასიის ცხოვრებისათვის, [illegible] ნაწილისათვის, რომელიც [illegible] წარმოადგენს [illegible] და წესიერ [illegible] ფერებს.

ეს ზომები წარმოვიდგინეთ [illegible] ამიერკავკასიის გზა გერმანიისა [illegible] მაგრამ [illegible] კარგი შედეგები მოჰყვება ამიერკავკასიისათვის.

სულ, აქვს თუ არა გერმანიის უფრო ხანგრძლივი ხასიათის გეგმები ამიერკავკასიის მიმართ და როგორია და რას მიაწვდენ ისინი ამიერკავკასიის?

ამის შესახებ ჩვენ, ალბად, ამ დღეებში გავიგებთ, როდესაც ცნობები მოვა ბათომიდან, სადაც, როგორც ვიცით, გერმანელთა დელეგატებიც არიან".

მილიციონერთა და ყველა საზოგადოების საყურადღებოდ

ამა წლის მაისის 15 შემდგა საერთო კრება მე-7 უბნის მილიციონერებისა, შესახებ მილიციონერთა პროფესიონალური კავშირისა, რომელიც უკვე არსებობს და ვითარმედ უდაბნოსა შინა ცხვრის ფარა მიტოვებული ვართ უპატრონოდ ღვთის ანაბარად. კრებაზე მოწვეული იყო მე-10 უბნის უფროსი მილიციონერი ზაიცევი. მან პატარა მოხსენება გააკეთა პროფესიონალურ კავშირის შესახებ. მოკლედ ალნუსხა ჩვენი, მილიციონერების, უმწეო მდგომარეობა, უპატრონობა. ჩვენ ღვთის ანაბარად ვართ დღეს. ჩვენ უფროსებს კომისარს თუ მილიციის უფროს რაც უნდათ იმას სჩადიან. მეტად გასაოცარს და შეუფერებელ ბრძანებებს იძლევიან, რომელსაც არავითარი კავშირი, საფუძველი არა აქვს სინამდვილესთან. იგინი თავისუფლად, დაურიდებლად თვითნებობენ. მთელი მილიციონერების სვე-ბედი კომისარზე და მილიციის უფროსზე ჰკიდია. მათ არ ძალუძთ „კაბინეტში" ჯდომით განსჭვრიტონ მილიციონერების ყოფა-ცხოვრება და უცნაურ განკარგულებებს მიტომ იძლევიან. დროა „კაბინეტებიდან" გამოიხედურება თვით საქმის სიღრმეში ჩახედვა და განსჭვრიტა მილიციონერების უნუგეშო მდგომარეობისა. ხშირად კომისრები რაღაც პირადი ინტერესების გამო, უსაბუთოდ ითხოვენ მილიციონერებს.

შემთხვევაც კი ყოფილა, რომ საუკეთესო მილიციონერი, ზნეობრივად მთლად მდგომი თვით კომისარზედაც კი დაუთხოვნია ყოფილა უბრალო პირადი ინტერესის გამო. ამიტომ მომხსენებელმა დაამთავრა თუ ჩვენ გვინდა ჩვენი თავის ბატონ პატრონი ვიყოთ. უნდა შევკავშირდეთ მჭიდროდ, შევადგინოთ ძლიერი და საფუძვლიანი პროფესიონალური კავშირი, ჩვენი ინტერესების დასაცველად კრეჭში ჩაიდგნენ ჩვენ უფროსებს და აღებინოთ თავხედურ მოქცევაზე ხელი. პროფესიონალური კავშირი იქნება ჩვენი ნამდვილი სულის კვეთების გამომხატველი, დამცველი ინტერესებისა. მოხსენების შემდეგ არჩეულ იქნენ დელეგატები პროფესიონალურ კავშირში წევრებად შესასვლელად: ამხანაგები: გასვიანი, ჯიბლაძე, სოლოგოვი; კანდიდატებად ტოსოვი და კაზაროვი.

არჩევნების შემდეგ კრება დახურულ იქმნა.

თავმჯდომარე ჯიბლაძე. მდივანი ბახტაძე.

ქართველები ჯარში

ამხანაგო რედაქტორო! ოფიცერი პიქტორ კონსტანტინეს ძე ჯიქია, რომელიც თვით უკვე მსახურებდა 505 სტარო-კონსტანტინოვის პოლკში, და ირიცხებოდა ამავე პოლკის [illegible] უმცროსის ოფიცრად. ბათომის აღების წინ კი მსახურობდა ქართულ პოლკის შტაბში ბათომში. ტფილისის ქუჩაზე ვსთხოვ თუ ვინმე იცის მის შესახებ გვაცნობოს შემდეგი მისამართით. ბორჯომი პ რკი 2 ქართველ მსროლელთა პოლკის 1 ბატალიონის კანცელარია. პრაპორშჩიკ ალექსანდრე ჯიქიას.

—

[illegible] წელიწადი [illegible] (ერთი) [illegible] ს ძე მარგველაშვილი, პირველ წელიწადს იყო რიგში [illegible] ბათომის აღების [illegible] დაკარგვის [illegible] ტყვედ იქნა წაყვანილი, [illegible] ცნობა არა გვაქვს, [illegible] თუ ვინმე [illegible] გვაცნობოთ [illegible] საშუალებით.

[illegible] მარგველაშვილი.

—

ჩემი ძმის წელი სამინ (საშიკო) ფილადანის ძე მეტყველიშვილი მსახურობდა კ[illegible] ეტაპის ბათალიონში, მესამე როტაში, პირველ ვზვოდში, რომელიც იდგა სპარსეთში. რაგა თვეა მისი არავითარი ცნობა არა გვაქვს. ვსთხოვთ ყველას ვინც რამე იცის, გვაცნობოს გაზეთის საშუალებით ან კერძოთ, მისამართით: ქ. ყვირილა. ვექტორ საკაცელ ძეს გადასაცემათ მეტყველიშვილს.

წერილი რედაქციის მიმართ

პატივცემულო ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ „სახალხო საქმის" ერთ-ერთ ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს წერილს.

ჩემთა მტერ-მოყვარეთა ხმა გავრცელებით, ვითომც სოფ. ბანძაში ბოლშევიკებს მე ვუძღოდე მეთაურად და სულის ჩამდგმელად. ეს ამბავი, როგორც მითხრეს, რომელიმე გაზეთშიაც კი ყოფილა დაბეჭდილი. ამით ვაცხადებ, რომ ბოლშევიკების არამც თუ მეთაურად, მესვეურადაც კი არა ვყოფილვარ, მით უფრო, რომ ორ თვეზე მეტია, ე. ი. მას აქეთ, რაც ეგრედ წოდებულმა „ბოლშევიკურმა" მოძრაობამ ბანძის რაიონში თავი იჩინა, მძიმე ავადმყოფი ვიწექ და სახლიდგან ვერ გამოვდიოდი. ჩემს ნათქვამს დამიმოწმებენ მთელი საზოგადოება ბანძისა და აგრეთვე თვით აქაური ანუ, უკეთ, ბანძის გარშემო სოფლების „ბოლშევიკები", რომელთაც არც როდისმე გამოვდგომივარ რაშიმე და ვერც გამოვადგებოდი.

უმორჩილესადა ვსთხოვ სხვა ქართულ გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი და განსაკუთრებით კი იმ გაზეთს, რომელმაც ჩემს შესახებ შეცდომით ცნობა მოათავსა თავის ფურცლებზე და რომლის სახელი, სამწუხაროდ არ ვიცი.

ბატონო რედაქტორო, პატივცემისათვის მადლობას წინდაწინვე მოგახსენებთ.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი
გიორგი ფილიპეს ძე გაბუნია.

—

ამხანაგო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთ „სახალხო საქმის" საშუალებით უგულითადესი და ულრმესი მადლობა გამოუცხადო ამხანაგ ემილიანე გიორგის ძე ხოფერიას, რომელმაც კეთილ ინება და გადმომცა ოცდა ხუთი მანეთი იმ ჭრილობის საქმისად, რომელიც მივიღე აპრილის პირველ რიცხვებში ნაციონალურ პოლკში სამხედრო ვარჯიშობის დროს.

გ. მუშიშვილი.

—

პატივც. რედაქტორო! გთხოვთ ჩვენი გულითადი მადლობა გამოუცხადოთ თქვენის გაზეთის საშუალებით ს. შუქრუთის მცხოვრებს (დროებით ტფილისშია) ზაქარია ხახუტის ძე ნეფარიძეს, რომელმაც ჩვენს ეკლესიას შემოსწირა ბაირაღები, ღირებული 250 მანეთად.

მრევლის დავალებით მღვდ. იხაია
გაზაძე.

შემოწირულება

ბატონო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში დაგვიბეჭდოთ შემდეგი: 1918 წლის 3 თებერვალს, ქ. ფოთში ნ. ლოლუას ქალის პრო-გიმნაზიის ქალთა სკოლის სასარგებლოდ სკოლის სამზრუნველო კომიტეტის და სკოლის მზრუნველის ეკატერინე ნიკოლოზის ასულის გეგეჭკორის მიერ გამართულ ლიტერატურულ-მუსიკალურ საღამოს შემოსავალი ჰქონდა 3.308 მან. და 33 კაპ. გასავალი 1.120 მ. და 40 კ. დარჩა 2.187 მ. და 93 კაპ. მათ შორის ფულად და ნივთიერად შემოსწირეს: ჭყონ-დიდელ მიტროპოლიტმა ამბროსიმ 30 მან. ქ-ნ ლიდიამ 20 მ. ქ-ნ საბახტარაშვილმა, 70 მ. ქ-ნ ცხადაიამ 20 მ. ქ-ნ ჯოლელმა 30 მ. ქ-ნ საჭყუამ 50 მ. გ. ჩიტაიამ 15 მ. ქ-ნ მ. ოსიძემ თავისი საყვარელი ქალის სიკვდილის გარდაცვალებიდან 6 ხუთის წლის თავის აღსანიშნავად 25 მან. ქ-ნ ნ. გაბუნიამ თავისი ქმრის ქ. გაბუნიას გარდაცვალებიდან წლის აღსანიშნავად 50 მან. ზემოხსენებულ პირებს ასეთი ყურადღებისა და გულუხვი შემოწირულებისათვის ულრმეს მადლობას მოვახსენებთ, ქ-ნებს: მეგრელ-ლორთქიფანიძეს, საშა კუპრაძეს, ეკაბიძეს, ვ. ნამიჩეიშვილს და ბ-ნებს: ვლ. ჯოლელს და ბ. კვაჭანტირაძეს უგულითადეს მადლობას ვწირავთ საღამოს მოწყობაში მხურვალე მონაწილეობის მიღებისათვის.

საღამოს მომწყობი სკოლის სამზრუნველო კომიტეტი და სკოლის გამგე **ნ. ლოლუას ასული.**

გამომცემელი
[illegible]
[illegible] მთავარ კომიტეტისა

საცობი
(„პრობკა")
მინერალური წყლების, ლუდის, ლიმონადის, კვასის და წამლების (აფთიაქის). სოლოლაკ, [illegible] ქ. № 14, ეზოში, მარჯვნივ. 485

ექიმი
[illegible] მელაძე
იღებს სახლში და [illegible] ავად-მყოფებს, საღამოს 5—7 ს. [illegible] პეტროგრადის ქ. № 7. 1047

ექიმი
ი. ი. ზერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ შუადღის 12—2 საათ. [illegible] ქ. № 6.

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 6—8 საათამდე. [illegible] ქუჩა, № 7. 2130

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ექიმი
თიყანაძე
იღებს ავადმყოფებს საღ. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს [illegible] ავადმყოფებს [illegible] საღამოს 5—6 ს. [illegible] კვირა დღეს გარდა. [illegible] ქ. № 67, [illegible] 1030

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] იღებს 4—6 ს. [illegible] მეორე სართული. 1009

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8 სახლი მონასელიძისა. 459

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციებ) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრო-ზიდია და მასსაჟი. მისამართი [illegible] ქ. № 11. 426

ქ. ქუთაისში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცების 5—7 ს. საღამოისა.
სტუმცოვის და მეშჩანსკის ქუჩების [illegible] სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 უბანი. 1002

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებათა სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და „კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს.-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
ვ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

სტამბა
„სახალხო საქმე"
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14